


მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება



IFRS® Foundation
დამხმარე მასალა
IFRS for SMEs® სტანდარტისთვის

მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს
მიერ 2015 წლის ოქტომბერში გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტის მე-5
განყოფილების - „სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის
ანგარიშგება“ - სრული ტექსტი

*ვრცელ განმარტებებთან, თვითშეფასების კითხვებთან და სიტუაციურ
მაგალითებთან ერთად*

IFRS® Foundation
30 Cannon Street
ლონდონი EC4M 6XH
გაერთიანებული სამეფო

2018 წლის აგვისტოს შემდეგ:
7 Westferry Circus
Canary Wharf
ლონდონი E14 4HD
გაერთიანებული სამეფო

ტელეფონი: +44 (0)20 7246 6410
ელ. ფოსტა: info@ifrs.org
ვებგვერდი: www.ifrs.org

პუბლიკაციების დეპარტამენტი
ტელეფონი: +44 (0)20 7332 2730
ელ. ფოსტა: publications@ifrs.org

წინამდებარე მოდული მომზადებულია ფას ფონდის (შემდგომში ფონდი) საგანმანათლებლო გუნდის მიერ. იგი არ არის დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (შემდგომში საბჭო) მიერ. ეს მოდული შემუშავებულია, რათა დაეხმაროს IFRS for SMEs® სტანდარტის (შემდგომში სტანდარტი) მომხმარებლებს სტანდარტის დანერგვასა და თანმიმდევრულ გამოყენებაში.

წინამდებარე პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა უფლება, მათ შორის საავტორო უფლება, ეკუთვნის IFRS® Foundation-ს.

საავტორო უფლება © 2018 ფას ფონდი. ყველა უფლება დაცულია.

ელ. ფოსტა: info@ifrs.org ვებგვერდი: www.ifrs.org

პასუხისმგებლობაზე უარის თქმა: ყველა ნაგულისხმევი გარანტია, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ, დამაკმაყოფილებელი ხარისხის, კონკრეტული მიზნით გამოყენებისთვის შესაფერისობის, საავტორო უფლებების დაურღვევლობისა და სიზუსტის გარანტია, გამოირიცხება იმ ზომით, რამდენადაც შესაძლებელია მათი გამოირიცხვა სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, საბჭო და ფონდი პირდაპირ იხსნიან ყველა პასუხისმგებლობას, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულებით, სამოქალაქო სამართალდარღვევით ან სხვა მიზეზით (მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ პასუხისმგებლობით დაუდევრობის ან უმოქმედობის გამო) ნებისმიერი პირის მიმართ ნებისმიერ მოთხოვნასთან, ან ნებისმიერი ხასიათის ზიანთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამომდინარეობს შემდეგიდან: (i) წინამდებარე პუბლიკაციის სრულ, ან ნაწილობრივ შინაარსზე დაყრდნობით განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, ან ნებისმიერი მოქმედების, ან უმოქმედობის შედეგები; და (ii) წინამდებარე პუბლიკაციაში არსებული ნებისმიერი, ან სხვა ინფორმაციისა და მასალების გამოყენება. შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, საბჭოს, ფონდს, ავტორებსა და გამომცემლებს არ ეცისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახის ზიანთან, ან ზარალთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია წინამდებარე პუბლიკაციის, ან მისი თარგმანის გამოყენებით, ან/და მის შინაარსზე დაყრდნობით, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ პირდაპირ, არაპირდაპირ, გაუთვალისწინებელ, ან ირიბ ზიანთან, სადამსჯელო ზიანის ანაზღაურებასთან, ჯარიმებთან ან ხარჯებთან დაკავშირებით.

წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს რჩევას, იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც გადაწყვეტილების მიღების საფუძველი და არ უნდა ჩაითვალოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირისგან მიღებული რჩევის შემცვლელად. შესაბამისი ბუღალტრული მოთხოვნებისთვის გამოყენებული უნდა იქნეს საბჭოს მიერ გამოქვეყნებული სტანდარტი.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებული ნებისმიერი პირის, კომპანიის ან/და ადგილის დასახელება გამონაგონია და შემთხვევითია რეალურ ადამიანებთან, საწარმოებთან ან ადგილებთან ნებისმიერი მსგავსება.

გამოყენების უფლება: მართალია, ფონდი ამ მოდულის საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენების მომხრეა, მაგრამ მისი გამოყენება უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემული გამოყენების პირობების შესაბამისად. თუ აპირებთ ჩვენი მასალების კომერციულ პროდუქტში ჩართვას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ, რადგან ამ შემთხვევაში დაგჭირდებათ ინდივიდუალური ლიცენზია. ჩვენი სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ ეწვიოთ ბმულს www.ifrs.org/issued-standards.

უნდა დარწმუნდეთ, რომ სარგებლობთ ჩვენს ვებგვერდზე არსებული ყველაზე ახალი მასალებით. ამ მოდული გამოყენების უფლებას ვადა გაუვა მოდულის გამოყენების შეწყვეტის ან განახლების შემთხვევაში, ასევე დროს, საჭიროა მისი გამოყენების ან/და მისი ხელმისაწვდომობის შეწყვეტა. თქვენი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დარწმუნდეთ, რომ იყენებთ შესაბამის მასალას, შეამოწმოთ ფონდის ვებგვერდი, რათა მიიღოთ ინფორმაცია სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, მს-ს დანერგვის ან/და დაწესების და პასუხების, ან/და მოდულების ახალი ვერსიების შესახებ.

გამოყენების პირობები

- 1) მომხმარებელს უფლება აქვს მოახდინოს ამ მოდულის სრული ან ნაწილობრივი რეპროდუქცია ნაბეჭდი ან ერთეული ელექტრონული დოკუმენტის სახით, იმ პირობით, რომ:
 - (ა) დოკუმენტი მონაწილეებს უფასოდ მიეწოდება;
 - (ბ) არ იყენებთ და არ ახდენთ რეპროდუქციას და არ აძლევთ სხვა პირებს უფლებას გამოიყენონ ან მოახდინონ მოდულზე, ან მოდულში გამოსახული ფონდის ლოგოს რეპროდუქცია;
 - (გ) არ იყენებთ და არ ახდენთ მოდულზე ან მოდულში წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნების რეპროდუქციას, როდესაც სრულად, ან ნაწილობრივ იყენებთ ამ მასალას საკუთარ დოკუმენტაციაში; და
 - (დ) უფლება გაქვთ ეს მოდული სრულად განათავსოთ თქვენს ვებგვერდზე, თუ დაურთავთ ჩვენი ვებგვერდის მკაფიო ბმულს (დამატებითი ინფორმაციის მისაღებად თქვენი ვებგვერდის ჩვენს ვებგვერდთან ბმის შესახებ, გთხოვთ, იხილოთ [პირობების ვებგვერდი](#)).
- 2) სასაქონლო ნიშნები მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს.
- 3) ამ პუბლიკაციის ნაწილის კოპირების ან ციტირებისას სხვა დოკუმენტში შესატანად აუცილებელია, რომ:
 - (ა) დოკუმენტაცია მოიცავდეს საავტორო უფლების აღიარებას;
 - (ბ) დოკუმენტაცია მოიცავდეს განცხადებას, რომ ამ მოდულის ავტორი არის ფონდი და მოდულის დედანი ხელმისაწვდომია ფას-ის ვებგვერდზე www.ifrs.org;
 - (გ) დოკუმენტაცია მკაფიო ადგილას სათანადო ფორმით მოიცავდეს პასუხისმგებლობაზე უარის თქმას, როგორც ეს წარმოდგენილია ზემოთ;
 - (დ) ციტატა მოცემული უნდა იყოს ზუსტად; და
 - (ე) ციტატა არ უნდა იქნეს გამოყენებული შეცდომაში შემყვან კონტექსტში.

თუ აპირებთ ამ მოდულის ნებისმიერი ნაწილის ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით მიწოდებას ნებისმიერი სხვა მიზნით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ფონდს, რადგან დაგჭირდებათ წერილობითი ლიცენზია, რომელიც შესაძლოა მიიღოთ, ან ვერ მიიღოთ. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ სალიცენზიო აგენტს (www.ifrs.org/legal/education-material-licensing).

პუბლიკაციისა და საავტორო უფლებების საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ ფას ფონდის პუბლიკაციების დეპარტამენტს:

ელ. ფოსტა: publications@ifrs.org ვებგვერდი: www.ifrs.org

სასაქონლო ნიშნები



ფას ფონდის მსოფლიოში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს შორისაა: 'eIFRS®', 'International Accounting Standards®', 'IAS®', 'IASB®', IASB® ლოგო, 'IFRIC®', 'International Financial Reporting Standards®', 'IFRS®', IFRS® ლოგო, 'IFRS Foundation®', 'IFRS for SMEs®', IFRS for SMEs® ლოგო, 'Hexagon Device', 'NIIF®' და 'SIC®'. მოთხოვნის შემთხვევაში ფას ფონდიდან ხელმისაწვდომია დამატებითი ინფორმაცია ფას ფონდის სასაქონლო ნიშნების შესახებ.

სარჩევი

შესავალი	1
<i>IFRS for SMEs</i> [®] სტანდარტის რომელი ვერსიაა გამოყენებული?	1
წინამდებარე მოდული	1
<i>მსს ფასს</i> სტანდარტი	2
შესავალი - სტანდარტის მოთხოვნები	3
რა შეიცვალა <i>მსს ფასს</i> სტანდარტში 2009 წლის შემდეგ?	3
მოთხოვნები და მაგალითები	5
მოქმედების სფერო	5
მთლიანი სრული შემოსავლის წარდგენა	6
ხარჯების ანალიზი	24
მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები	29
შედარება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასთან	30
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა	32
გამოიყენეთ ცოდნა	37
სიტუაციური მაგალითი 1	37
სიტუაციური მაგალითი 1 - პასუხი	39
სიტუაციური მაგალითი 2	43
სიტუაციური მაგალითი 2 - პასუხი	45
სიტუაციური მაგალითი 3	50
სიტუაციური მაგალითი 3 - პასუხი	52

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ამ მოდულში განხილული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები, რომლებიც ეხება მცირე და საშუალო საწარმოებს (მსს) განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (საბჭო) მიერ 2015 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული *მსს ფასს* სტანდარტით.

ეს მოდული მომზადებულია ფასს ფონდის საგანმანათლებლო გუნდის მიერ. *მსს ფასს* სტანდარტის მე-5 განყოფილების - „სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“ შინაარსი ამ მოდულში **ნაცრისფრად** არის მოცემული. *მსს ფასს* სტანდარტის ტერმინების ლექსიკონი (ლექსიკონი) ასევე მოთხოვნების ნაწილია. ლექსიკონში განსაზღვრული ტერმინები მოცემულია **მუქი შრიფტით**, როდესაც ტერმინი პირველად შემოდის მე-5 განყოფილების ტექსტში. შენიშვნები და მაგალითები, რომლებიც მომზადებულია ფასს ფონდის საგანმანათლებლო გუნდის მიერ არ არის მოცემული გამოყოფილი ფერით. ეს შენიშვნები და მაგალითები არ არის *მსს ფასს* სტანდარტის ნაწილი და არ არის დამტკიცებული საბჭოს მიერ.

შესავალი

IFRS for SMEs® სტანდარტის რომელი ვერსიაა გამოყენებული?

როდესაც 2009 წელს პირველად გამოქვეყნდა *მსს ფასს* სტანდარტი, საბჭომ განაცხადა, რომ განახორციელებდა სტანდარტის საწყის სრულ გადასინჯვას საწარმოების მიერ სტანდარტის გამოყენების პირველი ორი წლის გამოცდილებისა და შედეგად ცვლილებების შეტანის საჭიროების შესაფასებლად. ამ მიზნით, 2012 წლის ივნისში საბჭომ გამოაქვეყნა მოთხოვნა გადასინჯვაზე: *მსს ფასს-ის სრული გადასინჯვა*. შემდგომ ეტაპზე, 2013 წელს, გამოქვეყნდა *მსს ფასს* სტანდარტში შესატანი ცვლილებების წინასწარი ვერსია, ხოლო 2015 წლის მაისში საბჭოს მიერ გამოიცა მსს ფასს სტანდარტის 2015 წლის შესწორებები.

2015 წლის მაისში გამოქვეყნებულ დოკუმენტში შეტანილი იყო მხოლოდ შესწორებული ტექსტი, ხოლო 2015 წლის ოქტომბერში საბჭომ გამოსცა სტანდარტის სრულად შესწორებული ვერსია, რომელშიც ასახული იყო მცირე დამატებითი სარედაქციო ხასიათის ცვლილებები და ასევე 2015 წლის მაისის არსებითი შესწორებები. ამ ვერსიას ეყრდნობა წინამდებარე მოდული.

2015 წლის ოქტომბერში გამოცემული მსს ფასს სტანდარტი მოქმედია 2017 წლის 1-ელ იანვარს და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართული იყო სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საწარმო ვალდებული იყო გაემყვანებინა ეს ფაქტი.

წინამდებარე მოდულში მოცემული ნებისმიერი მითითება მსს ფასს სტანდარტზე შეეხება 2015 წლის ოქტომბერში გამოცემულ ვერსიას.

წინამდებარე მოდული

მე-3 განყოფილება - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ განსაზღვრავს წარდგენის ზოგად მოთხოვნებს, ხოლო განყოფილებები 4-8 ყურადღებას ამახვილებს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის მოთხოვნებზე.

წინამდებარე მოდული ეთმობა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნებს *მსს ფასს* სტანდარტის მე-5 განყოფილების „*სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება*“ გამოყენებით. იგი

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

წარადგენს საკითხს და ოფიციალურ ტექსტს, ამდიდრებს ახსნა-განმარტებებით და მაგალითებით, რომლებიც შედგენილია მოთხოვნების უკეთ გასაგებად. ეს მოდული განსაზღვრავს იმ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომლებიც საჭიროა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენისას. ამასთან, წინამდებარე მოდულში წარმოდგენილია კითხვები სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესახებ თქვენი ცოდნის შესამოწმებლად და სიტუაციური მაგალითები, რომლებიც მოთხოვნების გამოყენების პრაქტიკულ შესაძლებლობას იძლევა, რათა აღნიშნული ანგარიშგებების წარდგენა *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით მოხდეს.

ამ მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ, თქვენ შეძლებთ, *მსს ფასს* სტანდარტის ფარგლებში:

- გესმოდეთ განსხვავება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდსა და ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდს შორის;
- შეგეძლოთ სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა;
- შეგეძლოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენა;
- იცოდეთ შემოსავლებისა და ხარჯების რომელი მუხლები უნდა იქნეს წარდგენილი სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში და როგორ უნდა მოხდეს მათი დაჯგუფება, იმის საფუძველზე თუ რამდენად შესაძლებელია მათი რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში;
- შეგეძლოთ შეწყვეტილი ოპერაციის იდენტიფიცირება; და
- შეგეძლოთ ხარჯების ანალიზი ეკონომიკური შინაარსისა და საწარმოში მათი ფუნქციების მიხედვით.

მსს ფასს სტანდარტი

მსს ფასს სტანდარტი გამიზნულია იმ საწარმოების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ საჯარო ანგარიშგავლდებულება (იხ. პირველი განყოფილება - „*მცირე და საშუალო საწარმოები*“).

მსს ფასს სტანდარტი შედგება სავალდებულო მოთხოვნებისა და სხვა არასავალდებულო მასალისგან.

არასავალდებულო მასალა მოიცავს:

- წინასიტყვაობას, რომელშიც მოცემულია *მსს ფასს* სტანდარტის ზოგადი შესავალი და განმარტებულია მისი მიზანი, სტრუქტურა და უფლებამოსილება;
- მითითებები დანერგვაზე, რომელშიც შედის საილუსტრაციო ფინანსური ანგარიშგებები და ანგარიშგების წარდგენისა და გამჟღავნების მოთხოვნების ცხრილი;
- დასკვნების საფუძველს, რომელშიც შეჯამებულია საბჭოს მიერ განხილული ის ძირითადი საკითხები, რომლებიც გახდა 2009 წელს გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტისა და 2015 წლის შესწორებების საფუძველი; და
- საბჭოს იმ წევრის განსხვავებულ მოსაზრებას, რომელიც არ დაეთანხმა 2009 წლის *მსს ფასს* სტანდარტის გამოცემას და ასევე საბჭოს იმ წევრის განსხვავებულ მოსაზრებას, რომელიც არ დაეთანხმა 2015 წლის შესწორებებს.

მსს ფასს სტანდარტში, დანართი ა: ძალაში შესვლის თარიღი და გადასვლა, და დანართი ბ: ტერმინების ლექსიკონი, წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნების ნაწილს.

მსს ფასს სტანდარტის 21-ე განყოფილება - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“, 22-ე განყოფილება - „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“ და 23-ე

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

განყოფილება - „ამონაგები“ მოიცავს დანართებს. აღნიშნული დანართები წარმოადგენს არასავალდებულო მითითებებს.

მსს ფასს სტანდარტი გამოცემულია ორ ნაწილად: ნაწილი (ა) მოიცავს წინასიტყვაობას, ყველა სავალდებულო მასალას და 21-ე, 22-ე და 23-ე განყოფილებების დანართებს; ხოლო ნაწილი (ბ) მოიცავს ზემოთ აღნიშნული მასალის დარჩენილ ნაწილებს.

ამასთან, მსს-ს დანერგვის ჯგუფი (SMEIG), რომელიც ეხმარება საბჭოს *მსს ფასს* სტანდარტის დანერგვის საკითხებში, აქვეყნებს მითითებებს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებით - „კითხვები და პასუხები“ (Q&As). ეს „კითხვები და პასუხები“ წარმოადგენს არასავალდებულო დროულ მითითებებს ბუღალტრული აღრიცხვის იმ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მსს-ს დანერგვის ჯგუფთან საწარმოებმა, რომელთაც დანერგვის ფასს სტანდარტი და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა წამოჭრეს. ამ მოდულის გამოცემის დროს (2018 წლის ივლისი) მსს-ს დანერგვის ჯგუფს არ ჰქონდა გამოქვეყნებული აღნიშნული მოდულის შესაბამისი კითხვები და პასუხები.

შესავალი - სტანდარტის მოთხოვნები

მცირე და საშუალო საწარმოების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო წრეს, რომელსაც არ გააჩნია იმის უფლებამოსილება, რომ საწარმოს მოსახოვოს თავის სპეციფიკურ საინფორმაციო საჭიროებებზე მორგებული ანგარიშების მომზადება. ასეთი მომხმარებლები შესაძლოა იყვნენ მაგალითად, საწარმოს მესაკუთრეები, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ საწარმოს საქმიანობის მართვაში, არსებული და პოტენციური კრედიტორები და საკრედიტო რეიტინგის სააგენტოები.

მე-5 განყოფილება განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური შედეგების წარდგენის ზოგად მოთხოვნებს. კერძოდ, მე-5 განყოფილების შესაბამისად, საწარმოს ევალება სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა. ეს არჩევანი გულისხმობს სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენისას ერთი ან ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდებს შორის არჩევანის გაკეთებას. აღნიშნული მოდული განსაზღვრავს იმ სტრიქონის მუხლებს, რომლებიც საწარმოში ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს, და იგი კრძალავს შემოსავლების ან ხარჯების რომელიმე მუხლის „განსაკუთრებული მუხლის“ სახელწოდებით წარდგენას. ამასთანავე, იგი მოითხოვს ხარჯების ანალიზის წარდგენას მათი ეკონომიკური შინაარსის, ან საწარმოში მათი ფუნქციის შესაბამისად. არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა. გარდა ამისა, *მსს ფასს* სტანდარტის შესაბამისად, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტები უნდა დაჯგუფდეს ორ კატეგორიად, კერძოდ მუხლებად, რომლებიც შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში, ან ზარალში და მუხლები, რომლებიც რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც კმაყოფილდება გარკვეული პირობები.

რა შეიცვალა *მსს ფასს* სტანდარტში 2009 წლის შემდეგ?

ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომელიც შევიდა მე-5 განყოფილებაში მსს ფასს სტანდარტის 2015 წლის შესწორების შედეგად:

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

- განისაზღვრა, რომ შეწყვეტილი ოპერაციებისათვის წარდგენილი მთლიანი თანხა მოიცავს შეწყვეტილი ოპერაციის გაუფასურების თანხას, რომლის შეფასება ხდება 27-ე განყოფილების შესაბამისად (იხ. პუნქტი 5.5(ე)(ii)).
- დაემატა მოთხოვნა, რომლის შესაბამისად სხვა სრულ შემოსავალში მუხლები უნდა დაჯგუფდეს იმის საფუძველზე, თუ რამდენად შესაძლებელია მათი რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში—2011 წელს გამოცემული „სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა“ (ბასს 1-ის გადასინჯული ვერსია) საფუძველზე (იხ. პუნქტი 5.5(ზ)).

გარდა ამისა, სხვა განყოფილებებში შეტანილი ცვლილებების შედეგად მე-5 განყოფილებაში შევიდა გარკვეული ცვლილებები. მაგალითად, მე-17 განყოფილებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა პუნქტი 5.4(ბ), რომლის თანახმადაც ნებადართულია ძირითადი საშუალებების შეფასება გადაფასების მოდელის გამოყენებით.

გარდა ამისა, შეტანილია სხვა უმნიშვნელო სარედაქციო ხასიათის ცვლილებები.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მოთხოვნები და მაგალითები

მოქმედების სფერო

5.1 წინამდებარე განყოფილების მიხედვით, საწარმომ პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, ანუ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები უნდა წარადგინოს ერთ ან ორ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ განყოფილებაში განსაზღვრულია, რა ინფორმაცია უნდა წარადგინოს საწარმომ ზემოაღნიშნულ ანგარიშგებებში და როგორ.

შენიშვნები

ტერმინების ლექსიკონში მთლიანი სრული შემოსავალი განმარტებულია შემდეგნაირად: 'პერიოდის მანძილზე სამეურნეო ოპერაციებითა და სხვა მოვლენებით განპირობებული საკუთარი კაპიტალის ცვლილება, იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან მესაკუთრის რანგში განხორციელებული ოპერაციებით (იგი ტოლია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის თანხების ჯამის)'.

მოგება ან ზარალი (ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც „წმინდა შემოსავალი“) ხშირად გამოიყენება, როგორც საწარმოს საქმიანობის შედეგების საზომი, ან როგორც სხვა მაჩვენებლების გაანგარიშების საფუძველი, როგორცაა, მაგალითად ინვესტიციის უკუგება, ან შემოსავალი აქციაზე. მოგების შეფასებასთან პირდაპირ დაკავშირებული ელემენტებია შემოსავალი და ხარჯები. 5.4(ბ) პუნქტი განსაზღვრავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ოთხ ტიპს, რომლებიც აღიარდება სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში, მოგებისა და ზარალის პოზიციის გარეთ. მთლიანი სრული შემოსავალი მოიცავს „მოგება ან ზარალისა“ და „სხვა სრული შემოსავლის“ მუხლებს.

მე-5 განყოფილებაში განსაზღვრულია საწარმოს მიერ შემოსავლებისა და ხარჯების წარდგენის პრინციპები. ხოლო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები წარმოდგენილია მსს ფასს სტანდარტის სხვა განყოფილებებში.

შემოსავალი ტერმინების ლექსიკონში განმარტებულია, როგორც: „საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან“.

ხარჯები კი განმარტებულია, როგორც: „საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე განხორციელებულ განაწილებებთან“.

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების გამოყოფა და მათი სხვადასხვაგვარად კომბინირება იძლევა საწარმოს საქმიანობის შედეგების რამდენიმე განსხვავებული გზით შეფასების საშუალებას. საწარმოს ევალება ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში წარადგინოს დამატებითი სტრიქონის მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები, თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად (იხ. პუნქტი 5.9). მაგალითად, ქვეჯგუფების დამატებითმა თანხებმა შეიძლება გამოავლინოს როგორც საერთო

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მოგება, ისე მოგება დაბეგვრამდე, ან მოგება ან ზარალი, რომელიც საწარმომ მიიღო მის მიერ დაბეგვრამდე განხორციელებული ჩვეულებრივი საქმიანობიდან.

მთლიანი სრული შემოსავლის წარდგენა

- 5.2 საწარმომ პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი უნდა წარადგინოს, ან:
- (ა) ერთ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სადაც მოცემული იქნება პერიოდის განმავლობაში აღიარებული ყველა შემოსავალი და ხარჯი; ან
 - (ბ) ორ ანგარიშგებაში – მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს პერიოდის განმავლობაში აღიარებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, იმ შემოსავლებისა და ხარჯების გარდა, რომლებიც ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მოგების ან ზარალის პოზიციის გარეთ, როგორც ეს ნებადართულია ან მოითხოვება წინამდებარე სტანდარტით.
- 5.3 ერთი ანგარიშგების წარდგენიდან ორი ანგარიშგების წარდგენაზე გადასვლა, ან პირიქით, მიიჩნევა სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლად, რაც რეგულირდება მე-10 განყოფილებით - „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“.

შენიშვნები

5.2 პუნქტით წარმოდგენილი არჩევანი (ე.ი. ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდი ან ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდი) გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას. 10.7 პუნქტის შესაბამისად, საწარმოს ევალება აირჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად გამოიყენოს იგი. გარდა ამისა, საწარმოს არ შეუძლია ნებაყოფლობით შეცვალოს სააღრიცხვო პოლიტიკა, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს ცვლილება უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან გარემოებების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე (იხ. პუნქტი 10.8(ბ)).

ერთი ანგარიშგების წარდგენიდან ორი ანგარიშგების წარდგენაზე გადასვლისას, ან პირიქით, საწარმომ ასევე ხელახლა უნდა წარადგინოს შესადარისი ანგარიშგება ან ანგარიშგებები.

ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდი

- 5.4 ერთი ანგარიშგების წარდგენის შემთხვევაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებამ უნდა მოიცვას პერიოდის განმავლობაში აღიარებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა რამ არ მოითხოვება. მოცემული სტანდარტი განსხვავებულ მიდგომას განსაზღვრავს შემდეგი შემთხვევებისთვის:
- (ა) წარსული შეცდომების გასწორებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შედეგი აისახება, როგორც წინა პერიოდების რეტროსპექტული კორექტირება და არა როგორც იმ პერიოდის მოგების ან ზარალის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც ისინი წარმოიშვა (იხ. მე-10 განყოფილება); და

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

- (ბ) შემდეგი ოთხი ტიპის სხვა სრული შემოსავალი წარმოშობისთანავე აღიარდება მთლიანი სრული შემოსავლის შემადგენლობაში, მოგებისა და ზარალის პოზიციის გარეთ:
- (i) ზოგიერთი სახის შემოსულობა და ზარალი, რომელიც წარმოიქმნა უცხოური ქვედანაყოფის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების სხვა ვალუტაში გადაყვანის შედეგად (იხ. 30-ე განყოფილება - „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში“);
 - (ii) ზოგიერთი აქტუარული მოგება და ზარალი (იხ. 28-ე განყოფილება - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“);
 - (iii) ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ზოგიერთი ცვლილება (იხ. მე-12 განყოფილება - „სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები“); და
 - (iv) ცვლილებები გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტში (იხ. მე-17 განყოფილება - „ძირითადი საშუალებები“).

მაგალითები—ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდი

მაგ. 1 ერთი ანგარიშგების წარდგენის შემთხვევაში საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშგება შეიძლება წარადგინოს შემდეგნაირად:

A მსს (მცირე და საშუალო საწარმო)—სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა ⁽¹⁾	20X8 ფე ⁽²⁾	20X7 ფე
ამონაგები	6	645,000	499,500
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(500,000)	(400,000)
მიწოდების დანახარჯები		(50,000)	(30,000)
ადმინისტრაციული ხარჯები		(30,000)	(15,000)
ფინანსური დანახარჯები	8	(10,000)	(5,000)
მოგება დაბეგრამდე		55,000	49,500
მოგების გადასახადი	9	(13,750)	(12,375)
წლიური მოგება		41,250	37,125
სხვა სრული შემოსავალი (არცერთი მათგანი არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში):			
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული მოგება, გადასახადის გამოკლებით*	15	10,260	(22,360)
გადაფასების ნამეტში, გადასახადის გამოკლებით*	13	3,800	4,230
სხვა სრული შემოსავალი⁽³⁾ მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით	18	14,060	(18,130)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის		55,310	18,995

(1) ამ მაგალითში და ამ მოდულის ყველა სხვა მაგალითში წარმოდგენილი შენიშვნები არაა გადმოტანილი რომელიმე სხვა სტანდარტიდან.

(2) ამ მაგალითში და ამ მოდულის ყველა სხვა მაგალითში ფულადი სიდიდეები გამოსახულია „ფულადი ერთეულებით“ (ფე).

(3) ამ მაგალითში დაშვებულია, რომ აღნიშნული საწარმოს ანგარიშგებაში წარმოდგენილია სხვა სრული შემოსავლის ოთხი შესაძლო კომპონენტიდან ორი.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

* მეორე მხრივ, სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა შესაძლებელია დაბეგრამდელი მდგომარეობით. ასეთ შემთხვევაში, საჭირო გახდება აგრეგირებული გადასახადის სხვა სრულ შემოსავალში ასახვა განცალკევებული სტრიქონის მუხლის სახით.

შენიშვნა: აღნიშნულ მაგალითში ხარჯები აგრეგირდება სრული შემოსავლის ანგარიშგების შემადგენლობაში, შემოსავლის ანგარიშგების ნაწილში, მათი ფუნქციების მიხედვით (იხ. პუნქტი 5.11). მიუხედავად იმისა, თუ როგორ ანალიზდება ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგების შემადგენლობაში, შემოსავლის ანგარიშის ნაწილში- ფუნქციისა თუ ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, სხვა სრული შემოსავლის მუხლები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით უნდა დაკლასიფიცირდეს (იხ. პუნქტი 5.5(ზ)). სხვა სრული შემოსავლის კომპონენტები აგრეთვე უნდა დაჯგუფდეს ორ კატეგორიად, კერძოდ, მუხლებად, რომლებიც შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში, ან ზარალში და რომლებიც რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც დაკმაყოფილდება გარკვეული პირობები (იხ. პუნქტი 5.5(ზ)). გარდა ამისა, საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს დამატებითი სტრიქონის მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები, თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად (იხ. პუნქტი 5.9).

მაგ. 2 20X7 წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც B მსს-მ ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად დაამტკიცა, B მსს-მ აღმოაჩინა, რომ 20X6 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ცვეთის ხარჯის გამოთვლისას შეცდომა დაუშვა (ე.ი. 20X6 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს დასაბეგრი მოგება გადიდებული იყო 7,800 ფე-ით, რის შედეგადაც მოგების გადასახადი გადიდებული იყო 1,950 ფე-ით).

20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის B მსს-ს სრული შემოსავლის ანგარიშგება მიიღებს შემდეგ სახეს:

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

B მსს—20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

		20X7	20X6
	შენიშვნა	გე	გე
		გადაანგარიშებული	
ამონაგები	3	680,000	525,000
სხვა შემოსავლები	4	54,000	32,000
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში		23,520	25,620
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(428,000)	(299,800)
პერსონალის შენახვის ხარჯები	9	(78,000)	(76,000)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები (20X6: წინა პერიოდში წარდგენილი - 21,200 ფე)	13	(25,600)	(29,000)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	13	–	(3,200)
სხვა ხარჯები		(4,500)	(3,250)
ფინანსური დანახარჯები	10	(22,300)	(19,700)
წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში	12	42,100	38,560
მოგება დაბეგვრამდე (20X6: წინა პერიოდში წარდგენილი - 198,030 ფე)		241,220	190,230
მოგების გადასახადი (20X6: წინა პერიოდში წარდგენილი - 49,508 ფე)	11	(60,305)	(47,558)
მოგება ან ზარალი (20X6: წინა პერიოდში წარდგენილი - 148,522 ფე)		180,915	142,672
სხვა სრული შემოსავალი (არცერთი მათგანი არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში):			
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული მოგება (ზარალი), გადასახადის გამოკლებით*	14	6,162	(12,810)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის (20X6: წინა პერიოდში წარდგენილი - 124,012 ფე)		187,077	129,862

შენიშვნა: აღნიშნულ მაგალითში ხარჯები, სრული შემოსავლის ანგარიშგების შემადგენლობაში, შემოსავლის ანგარიშის ნაწილში, წარმოდგენილია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით (იხ. პუნქტი 5.11). მიუხედავად იმისა, თუ როგორ ანალიზდება ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგების შემადგენლობაში, შემოსავლის ანგარიშის ნაწილში - ფუნქციისა თუ ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, სხვა სრული შემოსავლის მუხლები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით უნდა დაკლასიფიცირდეს (იხ. პუნქტი 5.5(ზ)). სხვა სრული შემოსავლის კომპონენტები აგრეთვე უნდა დაჯგუფდეს ორ კატეგორიად, კერძოდ, მუხლებად, რომლებიც შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში, ან ზარალში და რომლებიც რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც დაკმაყოფილდება გარკვეული პირობები (იხ. პუნქტი 5.5(ზ)). გარდა ამისა, საწარმოო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს დამატებითი სტრიქონის მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები,

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად (იხ. პუნქტი 5.9).

- 5.5 როგორც მინიმუმი, სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მუხლებს, რომლებიც ასახავს მოცემული პერიოდის შემდეგ თანხებს:
- (ა) ამონაგებს;
 - (ბ) ფინანსურ დანახარჯებს;
 - (გ) წილს წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა (იხ. მე-14 განყოფილება - „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“) და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების (იხ. მე-15 განყოფილება - „ინვესტიციები ერთობლივ საქმიანობაში“) მოგებაში ან ზარალში;
 - (დ) საგადასახადო ხარჯს, (ე), (ზ) და (თ) ქვეპუნქტებზე მიკუთვნიებული გადასახადების გარდა (იხ. პუნქტი 29.35);
 - (ე) ერთიან თანხას, რომელიც შედეგადად შედეგი მუხლების ჯამისაგან:
 - (i) შეწყვეტილი ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი დაბეგვრის შემდეგ; და
 - (ii) დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია შეწყვეტილი ოპერაციის აქტივების გაუფასურებასთან, ან გაუფასურების კომპენსირებასთან (იხ. 27-ე განყოფილება - „აქტივების გაუფასურება“), როგორც შეწყვეტილ ოპერაციად კლასიფიცირების მომენტში, ისე შემდგომში, ასევე წმინდა აქტივების გასვლასთან, რომლებიც წარმოადგენს შეწყვეტილ ოპერაციას.
 - (ვ) მოგებას ან ზარალს (თუ საწარმოს არ გააჩნია სხვა სრული შემოსავლის მუხლები, ამ პუნქტის მუხლების წარდგენა არ ხდება);
 - (ზ) სხვა სრული შემოსავლის თითოეულ კომპონენტს (იხ. პუნქტი 5.4 (ბ)), რომელიც კლასიფიცირებულია შინაარსის მიხედვით ((თ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხების გამოკლებით); ამგვარი მუხლები უნდა დაჯგუფდეს ორ კატეგორიად, კერძოდ, მუხლებად, რომლებიც წინამდებარე სტანდარტის თანახმად:
 - (i) შემდგომში არ შეიძლება, რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში, ან ზარალში - ე.ი. 5.4(ბ) (i)-(ii) და (iv) ქვეპუნქტებში მითითებული მუხლები; და
 - (ii) შემდგომში რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში, როდესაც დაკმაყოფილდება გარკვეული პირობები - ე.ი. 5.4(ბ)(iii) პუნქტში მითითებული მუხლები.
 - (თ) წილს წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების სხვა სრულ შემოსავალში;
 - (ი) სრული შემოსავლის მთლიან თანხას (თუ საწარმოს არ გააჩნია სხვა სრული შემოსავლის მუხლები, მას შეუძლია სხვა ტერმინის გამოყენება, მაგალითად მოგება ან ზარალი).

მაგალითები—სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მაგ. 3 მშობელი C მსს (სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს მფლობელი) ჯგუფის ფინანსური შედეგების წარსადგენად იყენებს ერთი ანგარიშგების მეთოდს. მას შეუძლია კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება შემდეგნაირად მოამზადოს:

C მსს-ს 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	20X7 ფე	20X6 ფე
ამონაგები	10	680,000	525,000
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(400,000)	(300,000)
მიწოდების დანახარჯები		(8,580)	(5,830)
ადმინისტრაციული ხარჯები		(50,000)	(40,000)
ფინანსური დანახარჯები	11	(22,300)	(19,700)
წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში	12	42,100	38,560
მოგება დაბეგრამდე		241,220	198,030
მოგების გადასახადი	13	(60,305)	(49,508)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის		180,915	148,522
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	14	(24,780)	(32,563)
წლიური მოგება		156,135	115,959
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში:			
უცხოური ქვედანაყოფის საქმიანობის გადაყვანის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობა, გადასახადის გამოკლებით	15	10,260	(22,360)
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი, გადასახადის გამოკლებით	16	(720)	(520)
		9,540	(22,880)
მუხლები, რომლებიც შესაძლებელია შემდგომში რელკასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:			
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილება, რეკლასიფიცირებული მუხლებისა და გადასახადის გამოკლებით ^(ა)	17	(700)	1,020
წილი მეკავშირე საწარმოების სხვა სრულ შემოსავლში	12	(3,800)	4,750
სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით	18	5,040	(17,110)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის		161,175	98,849

(ა) ამ მაგალითში და ამ მოდულის ყველა სხვა მაგალითში მოცემულია დაჯგუფებული (აგრეგირებული) მონაცემების წარდგენის შემთხვევები. იმ ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში პერიოდის განმავლობაში და თანხა, რომლის

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

რეკლასიფიკაციაც საწარმომ განახორციელა პერიოდის მოგებაში ან ზარალში, 12.29(გ) და (დ) პუნქტის შესაბამისად უნდა გამჟღავნდეს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. მეორე მხრივ, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაძლებელია მოხდეს საერთო მონაცემების წარდგენა. იმ შემთხვევისთვის, როდესაც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საწარმო წარადგენს დაჯგუფებულ (აგრეგირებულ) მონაცემებს, განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების მაგალითი მიიღებს შემდეგ სახეს:

17 ჰეჯირების საქმიანობა (ამონარიდი)

	20X7	20X6
	₾	₾
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ზრდის/(შემცირების) თანხა მოცემული წლის განმავლობაში	(1,226)	1,360
იმ შემოსულობების/ზარალის რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში, რომლებიც ადრინდელი პერიოდების განმავლობაში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში	293	-
	(933)	1,360
გადასახადი	233	(340)
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, გადასახადისა და რეკლასიფიცირებული მუხლების გამოკლებით	(700)	1,020

მაგ. 4 ფაქტები იფიქვია რაც მე-2 მაგალითში, გარდა შემდეგისა: B მსს-ს არ გააჩნია სხვა სრული შემოსავლის მუხლები არცერთი პერიოდის განმავლობაში. 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის B მსს -ს სრული შემოსავლის ანგარიშგება მიიღებს შემდეგ სახეს:

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

B მსს-ს 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

	20X7		20X6
	შენიშვნა	ფე	ფე
ამონაგები	3	680,000	525,000
სხვა შემოსავლები	4	54,000	32,000
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში		23,520	25,620
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(428,000)	(299,800)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	9	(78,000)	(76,000)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები (20X6: წინა პერიოდში წარდგენილი - 21,200 ფე)	13	(25,600)	(29,000)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	13	–	(3,200)
სხვა ხარჯები		(4,500)	(3,250)
ფინანსური დანახარჯები	10	(22,300)	(19,700)
წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში	12	42,100	38,560
მოგება დაბეგვრამდე (20X6: წინა პერიოდში წარდგენილი 198,030 ფე)		241,220	190,230
მოგების გადასახადი (20X6: წინა პერიოდში წარდგენილი 49,508 ფე)	11	(60,305)	(47,558)
მოგება მოცემული წლისთვის* (20X6: წინა პერიოდში წარდგენილი 148,522 ფე)		180,915	142,672

* B მსს-ს ასევე შეეძლო ეს მუხლი აღნიშნა შემდეგნაირად - „მოლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის“.

შენიშვნები—შეწყვეტილი ოპერაციები

მსს ფასს სტანდარტის ტერმინების ლექსიკონში შეწყვეტილი ოპერაცია განმარტებულია, როგორც:

საწარმოს კომპონენტი, რომელიც ან გაიყიდა, ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:

- წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- არის გაყიდვის მიზნით შექმნილი შვილობილი საწარმო.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

გარდა ამისა, საწარმოს კომპონენტი განმარტებულია როგორც: „ოპერაციები და ფულადი ნაკადები, რომელთა ნათლად გამოიჯვანა საწარმოს სხვა შემადგენელი ნაწილებისაგან, ოპერაციულად ან ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის შესაძლებელია“.

შედეგად, საწარმოს კომპონენტის გაყიდვა თავისთავად არ წარმოადგენს შეწყვეტილ ოპერაციას; (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტებში მოცემულ პირობათაგან რომელიმე აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.

როდესაც საწარმოს კომპონენტი აკმაყოფილებს შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას, მისი ფინანსური შედეგების წარდგენა ხდება ერთიანი თანხით.

ამასთანავე, 27-ე განყოფილების - „აქტივების გაუფასურება“ - შესაბამისად, „იმ ქვედანაყოფის საქმიანობის შეწყვეტის ან რესტრუქტურირების გეგმები, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი“ და „აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების გეგმა ადრე ნავარაუდევ თარიღზე ადრე“ განიხილება, როგორც ინფორმაციის შიდა წყაროები, რომელიც მიუთითებს აქტივის გაუფასურებაზე (იხ. პუნქტი 27.9(ვ)). ამ ინდიკატორების არსებობის შემთხვევაში საწარმომ უნდა ჩაატაროს შესაბამისი აქტივის გაუფასურების ტესტი (იხ. პუნქტი 27.7).

5.5(ე)(ii) პუნქტის შესაბამისად, შეწყვეტილი ოპერაციის აქტივების გაუფასურების ზარალი, თუ ასეთი არსებობს, უნდა აისახოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, შეწყვეტილი ოპერაციების ერთიან თანხაში. თუ საქმიანობის გაყიდვის დროსა და გამყიდველი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდს შორის შეუსაბამობის გამო, საწარმომ საქმიანობა აღიარა შეწყვეტილ ოპერაციად ერთ საანგარიშგებო პერიოდში, მაგრამ არ გაყიდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდამდე, 5.5(ე)(ii) პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, ნებისმიერი სხვა სახის გაუფასურება უნდა აისახოს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, შეწყვეტილი ოპერაციების ერთიან თანხაში.

მაგალითები—შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენა

მაგ. 5 D მსს-ს აქვს საქმიანობის ორი ძირითადი მიმართულება - სანთლების წარმოება და ტანსაცმლით საცალო ვაჭრობა.

20X2 წლის 30 დეკემბერს, მოულოდნელი შემოთავაზების მიღების შემდეგ, D მსს-მ გაყიდა სანთლის წარმოების საქმიანობა 1,000,000 ფე-ად, როდესაც ამ საქმიანობის აქტივების საბალანსო ღირებულება ნაწილდებოდა შემდეგნაირად - ქარხნის შენობა 400,000 ფე, მანქანა-დანადგარები 300,000 ფე და სავაჭრო ნიშანი 200,000 ფე. სიმარტივისთვის დაუშვით, რომ სანთლის წარმოების საქმიანობაში არ არის სხვა აქტივები და ვალდებულებები. აღნიშნული საქმიანობის გაყიდვით მიღებული მოგებიდან საწარმო იხდის 20,000 ფე ოდენობის მოგების გადასახადს.

სანთლის მწარმოებელი ქვედანაყოფი აღიარებს 150,000 ფე ოდენობის დაბეგვრის შემდგომ მოგებას, რომელიც წარმოიშვა სავაჭრო ოპერაციებიდან 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში (20X1: 250,000 ფე).

მსს ფასს სტანდარტის 27-ე განყოფილების შესაბამისად, სანთლის წარმოების საქმიანობის გაყიდვის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ წარმოშვა აღნიშნული საქმიანობის აქტივებისთვის გაუფასურების ტესტის ჩატარების საჭიროება. გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითში ნაჩვენებია ერთ-ერთი გზა, იმისა თუ როგორ შეიძლება დააკმაყოფილოს საწარმომ მსს ფასს სტანდარტის 5.5(ე) პუნქტის მოთხოვნები.

ამონარიდი D მსს-ს 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებიდან

	შენიშვნა	20X2	20X1
		ფე	ფე
...			
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის			
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის	12	230,000 ^(ა)	250,000
წლიური მოგება			
...			

(ა) 1,000,000 ფე (გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი) - 400,000 ფე (შენობა) - 300,000 ფე (მანქანა-დანადგარები) - 200,000 ფე (სავაჭრო ნიშანი) = 100,000 ფე (გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა (დაბეგვრამდე)).
 100,000 ფე - 20,000 ფე (გადასახადი) = 80,000 ფე (შეწყვეტილი ოპერაციის გასვლასთან დაკავშირებული დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა).
 80,000 ფე + 150,000 ფე (შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული დაბეგვრის შემდგომი მოგება) = 230,000 ფე (შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული დაბეგვრის შემდგომი მთლიანი მოგება).

მაგ. 6 ფაქტები იგივეა, რაც მე-5 მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, მიუხედავად იმისა, რომ D მსს-ს ხელმძღვანელობას აქვს სანთლის წარმოების საქმიანობის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმა, მას ჯერ არ დაუსრულებია აღნიშნული საქმიანობის გაყიდვა.

20X2 წლის 31 დეკემბერს, მათი შეფასებით სანთლის მწარმოებელი ქვედანაყოფის საქმიანობის აქტივების რეალური ღირებულება, გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, შეადგენს 1,000,000 ფე-ს.

მე-5 მაგალითის მსგავსად, გაუფასურების ზარალი ამ შემთხვევაშიც არ გამოვლინდა.

ამონარიდი D მსს-ს 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებიდან

	შენიშვნა	20X2	20X1
		ფე	ფე
...			
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის			
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის	12	150,000 ^(ა)	250,000
წლიური მოგება			
...			

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

(ა) 150,000 ფე შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული დაბეგვრის შემდგომი მოგება.

მაგ. 7 ფაქტები იგივეა, რაც მე-6 მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, გაუფასურების ტესტმა, რომლის ჩატარების აუცილებლობა წარმოშვა სანთლის მწარმოებელი ქვედანაყოფის საქმიანობის გაყიდვის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, გამოავლინა 100,000 ფე ოდენობის გაუფასურების ზარალი (დაბეგვრამდე) 20X2 წლის 31 დეკემბერს. დაუშვით გაუფასურებასთან დაკავშირებით 20%-იანი დაბეგვრის შედეგის არსებობა.

ამონარიდი D მსს-ს 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებიდან

	შენიშვნა	20X2	20X1
		ფე	ფე
...			
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის			
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის	12	70,000 (ა)	250,000
წლიური მოგება			
...			

(ა) 100,000 ფე (გაუფასურების ზარალი) - 20,000 ფე (გაუფასურების ზარალის საგადასახადო შედეგი) = 80,000 ფე (დაბეგვრის შემდგომი გაუფასურების ზარალი).

150,000 ფე (შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული დაბეგვრის შემდგომი მოგება, გაუფასურების ზარალის დარიცხვამდე) - 80,000 ფე (დაბეგვრის შემდგომი გაუფასურების ზარალი) = 70,000 ფე (შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული დაბეგვრის შემდგომი მოგება).

შენიშვნები—შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენა

5.5(ე) პუნქტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ზემოთ მოცემულ სამივე მაგალითში გამოყენებული მეთოდით, თანხები, რომლებიც აღიარებულია როგორც ამონაგები, გაყიდული საქონლის თვითღირებულება და ა.შ., აღირიცხება მხოლოდ განგრძობითი ოპერაციებისათვის და გამოირიცხება შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენისას.

შეწყვეტილი ოპერაციებისთვის ერთიანი თანხის წარდგენის ერთ-ერთი გზაა სვეტოვანი წარდგენა. ინფორმაციის სვეტოვანი წარდგენის მეთოდი, ამ შემთხვევაში გულისხმობს თითოეული საანგარიშგებო წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისთვის ორი დამატებითი სვეტის დამატებას. შედეგად, თითოეული წლისთვის წარმოდგენილი იქნება 3 სვეტი: ერთი - განგრძობითი ოპერაციებისთვის, ერთი - შეწყვეტილი ოპერაციებისთვის და ერთი - საანგარიშგებო წლის მთლიანი ფინანსური შედეგებისთვის. თითოეულ სვეტში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი თანხები ამონაგებისთვის, გაყიდული საქონლის თვითღირებულებისთვის და ა.შ. შეწყვეტილი ოპერაციების სვეტში წარმოდგენილმა თანხებმა უნდა დააკმაყოფილოს 5.5(ე) პუნქტში მოცემული ერთიანი თანხების წარდგენის მოთხოვნები.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

- 5.6 საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში განცალკევებით უნდა წარმოადგინოს შემდეგი მუხლები:
- (ა) პერიოდის მოგება ან ზარალი, რომელიც მისაკუთვნიებულია:
 - (i) არამაკონტროლებელ წილზე; და
 - (ii) მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე.
 - (ბ) პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნიებულია:
 - (i) არამაკონტროლებელ წილზე; და
 - (ii) სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე.

მაგალითი—განცალკევებული განმარტებითი შენიშვნები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

მაგ. 8 ფაქტები იგივეა, რაც მე-3 მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, C მსს შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის მხოლოდ 90%-ს ფლობს. შვილობილი საწარმოს მოგება 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეადგენდა 50,000 ფე-ს (20X6: 40,000 ფე). 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შვილობილი საწარმოს სხვა სრული შემოსავალი არის 3,000 ფე ოდენობის შემოსულობა (20X6: 2,000 ფე ოდენობის ზარალი).

მე-3 მაგალითში წარმოდგენილი მუხლების გარდა, C მსს-მ აგრეთვე უნდა წარადგინოს შემდეგი მუხლები:

C მსს-ს 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება (ამონარიდი)

	20X7	20X6
	30	30
...		
მოგება, რომელიც მისაკუთვნიებულია:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	151,135	111,959
არამაკონტროლებელ წილზე	5,000	4,000
	156,135	115,959
 მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნიებულია:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	155,875	95,049
არამაკონტროლებელ წილზე	5,300	3,800
	161,175	98,849

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდი

5.7 ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის მიხედვით, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მუხლებს, რომლებიც ასახავს, მინიმუმ 5.5(ა)–5.5(ვ) პუნქტებში აღწერილ თანხებს, ხოლო ბოლო სტრიქონში მოცემული უნდა იყოს პერიოდის მოგება ან ზარალი. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში პირველ სტრიქონში მოცემული უნდა იყოს მოგება ან ზარალი, ხოლო შემდეგ მუხლები, რომლებიც ასახავს, სულ მცირე, 5.5(ზ)–5.5(ი) და 5.6 პუნქტებით გათვალისწინებულ საანგარიშგებო პერიოდის თანხებს.

მაგალითები—ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდი

მაგ. 9 ფაქტები იგივეა, რაც მე-8 მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, ჯგუფის ფინანსური შედეგების წარსადგენად C მსს იყენებს ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდს.

C მსს-მ კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება შემდეგნაირად უნდა მოამზადოს:

C მსს-ს კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	20X7	20X6
		ვუ	ვუ
ამონაგები	10	680,000	525,000
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(400,000)	(300,000)
მიწოდების დანახარჯები		(8,580)	(5,830)
ადმინისტრაციული ხარჯები		(50,000)	(40,000)
ფინანსური დანახარჯები	11	(22,300)	(19,700)
წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში	12	42,100	38,560
მოგება დაბეგრამდე		241,220	198,030
მოგების გადასახადი	13	(60,305)	(49,508)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის		180,915	148,522
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	14	(24,780)	(32,563)
წლიური მოგება		156,135	115,959
მოგება, რომელიც მისაკუთვნიებულია:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		151,135	111,959
არამაკონტროლებელ წილზე		5,000	4,000
		156,135	115,959

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

C მსს—კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	20X7	20X7	20X6	20X6
		ფი	ფი	ფი	ფი
წლიური მოგება			156,135		115,959
სხვა სრული შემოსავალი:					
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში:					
უცხოური ქვედანაყოფის საქმიანობის გადაყვანის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობა, გადასახადის გამოკლებით	15	10,260		(22,360)	
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი, გადასახადის გამოკლებით	16	(720)		(520)	
		9,540		(22,880)	
მუხლები, რომლებიც შესაძლებელია შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:					
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, გადასახადისა და რეკლასიფიცირებული მუხლების გამოკლებით	17	(700)		1,020	
წილი მეკავშირე საწარმოების სხვა სრულ შემოსავლში	12	(3,800)		4,750	
სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით	18		5,040		(17,110)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის			161,175		98,849
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნიებულია:					
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე			155,875		95,049
არამაკონტროლებელ წილზე			5,300		3,800
			161,175		98,849

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მოთხოვნები, რომლებიც ორივე მეთოდს ეხება

5.8 წინამდებარე სტანდარტის მიხედვით, შეცდომების გასწორებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგი უნდა აისახოს, როგორც გასული პერიოდების რეტროსპექტული კორექტირება და არა როგორც იმ პერიოდის მოგების ან ზარალის ნაწილი, რომელშიც ისინი წარმოიშვა (იხ. მე-10 განყოფილება).

მაგალითი—ერთი ანგარიშგებისა და ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდები

მაგ. 10 20X8 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც E მსს-მ 20X7 წლის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა გამოსაცემად, E მსს-მ აღმოაჩინა, რომ საპენსიო ხარჯების გამოთვლისას შეცდომა დაუშვა. ამ შეცდომის შედეგად, 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის დაბეგვრამდე მოგება 17,000 ფე-ით იყო გაზრდილი, რის შედეგადაც გაზრდილი იყო მოგების გადასახადი - 4,250 ფე-ით.

20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის E მსს-ს მიერ ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის გამოყენებით მომზადებული სრული შემოსავლის ანგარიშგება მიიღებს შემდეგ სახეს:

E მსს-ს სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	20X8	20X7
		<i>გადაანგარიშებული</i>	
		<i>ვშ</i>	<i>ვშ</i>
ამონაგები	2	745,000	693,000
სხვა შემოსავლები	3	45,000	36,520
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელ წარმოების მარაგში		31,000	23,000
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(461,000)	(342,000)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (180,000ფე))	6	(220,000)	(197,000)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	10	(45,000)	(40,500)
სხვა ხარჯები		(9,000)	(8,900)
ფინანსური დანახარჯები	7	(18,000)	(21,320)
მოგება დაბეგვრამდე (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი 159,800 ფე)		68,000	142,800
მოგების გადასახადი (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (39,950 ფე))	8	(42,000)	(35,700)
მოგება მოცემული წლისთვის (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (119,850 ფე))		26,000	107,100
სხვა სრული შემოსავალი (არცერთი მათგანი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში):			
ქონების გადაფასებასთან დაკავშირებული (ზარალი)/შემოსულობა, გადასახადის გამოკლებით	10	(3,000)	6,000
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული მოგება/(ზარალი), გადასახადის გამოკლებით	6	1,000	(2,000)

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით	(2,000)	4,000
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (123,850 ფე))	24,000	111,100

ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, E მსს-მ 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის ფინანსური შედეგები უნდა წარადგინოს შემდეგნაირად:

E მსს-ს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	20X8	20X7
		გადაანგარიშებული	
		ფე	ფე
ამონაგები	2	745,000	693,000
სხვა შემოსავლები	3	45,000	36,520
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელ წარმოების მარაგში		31,000	23,000
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(461,000)	(342,000)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (180,000 ფე))	6	(220,000)	(197,000)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10	(45,000)	(40,500)
სხვა ხარჯები		(9,000)	(8,900)
ფინანსური დანახარჯები	7	(18,000)	(21,320)
მოგება დაბეგვრამდე (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (159,800 ფე))		68,000	142,800
მოგების გადასახადი (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (39,950 ფე))	8	(42,000)	(35,700)
მოგება მოცემული წლისთვის (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (119,850 ფე))		26,000	107,100

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

E მსს-ს სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მენიშვნა	20X8	20X7
		გადაანგარიშებული	
		ფე	ფე
მოგება მოცემული წლისთვის (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (119,850 ფე))		26,000	107,100
სხვა სრული შემოსავალი (არცერთი მათგანი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში):			
ქონების გადაფასებასთან დაკავშირებული (ზარალი)/შემოსულობა, გადასახადის გამოკლებით	10	(3,000)	6,000
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული მოგება/(ზარალი), გადასახადის გამოკლებით	6	1,000	(2,000)
სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით		(2,000)	4,000
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი (123,850 ფე))		<u>24,000</u>	<u>111,100</u>

5.9 საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) უნდა წარადგინოს დამატებითი მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები, თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად.

მაგალითი—დამატებითი სტრიქონის მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები

მაგ. 11 საცალო ვაჭრობის ქსელი X კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარადგენს დამატებით მუხლებს (საერთო მოგება, მოგება დაბეგვრამდე და განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება), რადგან ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს ფინანსური შედეგების გასაგებად.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სადალო ვაჭრობის ქსელ X-ის 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	20X7	20X6
		ფე	ფე
ამონაგები	10	680,000	525,000
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(400,000)	(300,000)
საერთო მოგება		280,000	225,000
მიწოდების დანახარჯები		(8,580)	(5,830)
ადმინისტრაციული ხარჯები		(50,000)	(40,000)
ფინანსური დანახარჯები	11	(22,300)	(19,700)
წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში	12	42,100	38,560
მოგება დაბეგვრამდე	13	241,220	198,030
მოგების გადასახადი	14	(60,305)	(47,508)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის		180,915	150,522
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	15	(24,780)	(2,000)
წლიური მოგება		156,135	148,522
სხვა სრული შემოსავალი (არცერთი მათგანი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში):			
ქონების გადაფასებასთან დაკავშირებული შემოსულობა/(ზარალი), გადასახადის გამოკლებით	16	10,260	(22,360)
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი, გადასახადის გამოკლებით	17	(720)	(520)
		9,540	(22,880)
წილი მეკავშირე საწარმოების სხვა სრულ შემოსავლში	13	(3,800)	4,750
სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით	18	5,740	(18,130)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის		161,875	130,392

5.10 საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში), ან განმარტებით შენიშვნებში შემოსავლების ან ხარჯების მუხლები არ უნდა წარადგინოს „განსაკუთრებული მუხლის“ სახით.

შენიშვნები

ტერმინების ლექსიკონში არაა მოცემული „განსაკუთრებული მუხლის“ განმარტება, რადგან მსს ფასს სტანდარტის თანახმად არცერთი მუხლი არ მიიჩნევა განსაკუთრებულად. ეს შეესაბამება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიას. შედეგი იმისა, რომ არცერთი მუხლი მიიჩნევა განსაკუთრებულად, არის ის, რომ შემოსავლისა

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

და ხარჯების ყველა მუხლი აღიარდება, როგორც საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობიდან წარმოშობილი მუხლები.

ხარჯების ანალიზი

5.11 საწარმომ უნდა წარმოადგინოს ხარჯების ანალიზი და ამ მიზნით ხარჯების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ეკონომიკური შინაარსის, ან საწარმოში მათი ფუნქციების მიხედვით. არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა.

შენიშვნები

5.5 პუნქტში ჩამოთვლილია მუხლები, მაგალითად, ფინანსური დანახარჯები, რომლებიც, „როგორც მინიმუმი“, ჩართული უნდა იყოს საწარმოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში; აღნიშნული პუნქტი გამოიყენება, მიუხედავად იმისა, თუ ორი ნებადართული საკლასიფიკაციო მეთოდიდან (ეკონომიკური შინაარსის თუ ფუნქციის მიხედვით) რომელს მიმართავს საწარმო ხარჯების ანალიზის წარსადგენად.

ხარჯების ანალიზი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

(ა) ზემოაღნიშნული საკლასიფიკაციო მეთოდის თანახმად, ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აგრეგირდება მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით (მაგალითად, ცვეთა, მასალების შექმნა, ტრანსპორტირების დანახარჯები, დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები და სარეკლამო დანახარჯები) და არ ხდება მათი გადანაწილება საწარმოში მათი სხვადასხვა ფუნქციის მიხედვით.

შენიშვნები

როდესაც საწარმო ხარჯების კლასიფიკაციას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ახდენს, თითოეული ხარჯისთვის წარდგენილი თანხა წარმოადგენს ამ ერთეულთან დაკავშირებით გაწეულ მთლიან ხარჯს, მიუხედავად იმისა, თუ საწარმოს რომელი საქმიანობიდან წარმოიშვა აღნიშნული ხარჯი. მაგალითად, სამრეწველო საწარმოს მიერ წარდგენილი ცვეთის თანხა მოიცავს საწარმოს მიერ გაწეული მთლიანი ცვეთის ხარჯს, რომელიც აერთიანებს იმ ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხებს, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში, გაყიდვების დეპარტამენტის მიერ, ადმინისტრაციული თუ სხვა ნებისმიერი ფუნქციით.

მაგალითები—ხარჯების ანალიზი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

მაგ. 12 მშობელი საწარმო F მსს (სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს მფლობელი) წარადგენს ჯგუფის ფინანსურ შედეგებს ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის გამოყენებით. იგი ხარჯების ანალიზს კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით წარადგენს. ჯგუფს შეუძლია კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება შემდეგნაირად წარადგინოს:

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

F მსს-ს 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	20X7	20X6
		ლ	ლ
ამონაგები	9	734,000	557,000
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა	10	1,000	500
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში		(26,480)	(42,180)
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(380,000)	(232,750)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	11	(78,000)	(76,000)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	12	(25,600)	(21,200)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	12	–	(3,200)
სარეკლამო საქმიანობის დანახარჯები		(3,000)	(2,800)
საოპერაციო იჯარაზე გაწეული ხარჯი		(400)	(150)
ფინანსური დანახარჯები	13	(22,300)	(19,700)
წილი მეკავშირე საწარმოს ზარალში	14	(100)	(50)
მოგება დაბეგვრამდე		199,120	159,470
მოგების გადასახადი	15	(49,780)	(36,868)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის		149,340	122,602
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	16	(24,780)	(3,000)
მოგება მოცემული წლისთვის, რომელიც მისაკუთვნიებულია მშობელი საწარმოს მესაკუთრებზე		124,560	119,602
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში:			
უცხოური ქვედანაყოფის საქმიანობის გადაყვანის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობა, გადასახადის გამოკლებით	17	10,260	(22,360)
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი, გადასახადის გამოკლებით	11	(720)	(520)
		9,540	(22,880)
მუხლები, რომლებიც შესაძლებელია შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:			
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, გადასახადისა და რეკლასიფიცირებული მუხლების გამოკლებით	18	(2,240)	3,904
სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით		7,300	(18,976)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის		131,860	100,626

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ხარჯების ანალიზი ფუნქციების მიხედვით

(ბ) ამ მეთოდის თანახმად, ხარჯები აგრეგირდება მათი ფუნქციის მიხედვით, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნაწილი, ან, მაგალითად, როგორც კომერციული ან ადმინისტრაციული საქმიანობის დანახარჯები. ამ მეთოდის დროს, საწარმომ, როგორც მინიმუმში, სხვა ხარჯებისგან განცალკევებით უნდა აჩვენოს ამ მეთოდით განსაზღვრული გაყიდული საქონლის თვითღირებულება.

შენიშვნები

როდესაც საწარმო თავის ხარჯებს ფუნქციის მიხედვით აჯგუფებს, წარდგენილი თანხა წარმოადგენს საწარმოს მიერ თითოეულ ფუნქციურ ნაწილზე გაწეული ხარჯების მთლიან თანხას. მაგალითად, სამრეწველო კომპანიის მიერ გაწეული ცვეთის ხარჯის ნაწილი აღიარდება როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება, ნაწილი - როგორც მიწოდების დანახარჯები და ნაწილი - როგორც ადმინისტრაციული დანახარჯები.

მაგალითები—ხარჯების ანალიზი ფუნქციების მიხედვით

მაგ. 13 ფაქტები იგივეა, რაც მე-12 მაგალითში. თუმცა, ამ შემთხვევაში F მსს წარადგენს ჯგუფის ხარჯების ანალიზს, ფუნქციების მიხედვით. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად: ქარხნის (50%), ადმინისტრაციული (25%) და მიწოდების (25%). გაუფასურების ზარალი დაკავშირებულია სამრეწველო აღჭურვილობის ერთეულთან. საოპერაციო იჯარაზე გაწეული ხარჯი კი უკავშირდება იმ ფოტოაპირგადასაღებ აპარატს, რომელსაც იყენებდა ჯგუფის გაყიდვების ოფისის პერსონალი. F მსს-ს შეუძლია კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება შემდეგნაირად წარადგინოს:

F მსს-ს 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	20X7	20X6
ამონაგები	9	734,000	557,000
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა	10	1 000	500
გაყიდული საქონლის თვითღირებულება ^(ა)		(458,280)	(326,730)
მიწოდების დანახარჯები ^(ბ)		(29,300)	(27,250)
ადმინისტრაციული ხარჯები ^(გ)		(25,900)	(24,300)
ფინანსური დანახარჯები	13	(22,300)	(19,700)
წილი მეკავშირე საწარმოს ზარალში	14	(100)	(50)
მოგება დაბეგრამდე		199,120	159,470
მოგების გადასახადი	15	(49,780)	(36,868)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის		149,340	122,602
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	16	(24,780)	(3,000)
მოგება მოცემული წლისთვის, რომელიც მისაკუთვნებელია მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		124,560	119,602

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სხვა სრული შემოსავალი:

მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში:

უცხოური ქვედანაყოფის საქმიანობის გადაყვანის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობა, გადასახადის გამოკლებით დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი, გადასახადის გამოკლებით	17	10,260	(22,360)
	11	(720)	(520)
		<u>9,540</u>	<u>(22,880)</u>

მუხლები, რომლებიც შესაძლებელია შემდგომში

რელკასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:

ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, გადასახადისა და რეკლასიფიცირებული მუხლების გამოკლებით	18	(2,240)	3,904
სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით		7,300	(18,976)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის		131,860	100,626

გამოთვლები, რომლებიც არ არის სრული შემოსავლის ანგარიშგების ნაწილი:

	<i>20X7</i>	<i>20X6</i>
(ა) 26,480 ფე (ცვლილება მარაგებში) + 380,000 ფე (გამოყენებული ნედლეული) + 50% (78,000 ფე (დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები) + 25,600 ფე (ცვეთა)) = 458,280 ფე (გაყიდული საქონლის თვითღირებულება)		42,180 ფე (ცვლილება მარაგებში) + 232,750 ფე (გამოყენებული ნედლეული) + 50% (76,000 ფე (დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები) + 21,200 ფე (ცვეთა)) + 3,200 ფე (გაუფასურება) = 326,730 ფე (გაყიდული საქონლის თვითღირებულება)
(ბ) 25% (78,000 ფე (დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები) + 25,600 ფე (ცვეთა)) + 3,000 ფე (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯი) + 400 ფე (საოპერაციო იჯარაზე გაწეული ხარჯი) = 29,300 ფე (მიწოდების დანახარჯები)		25% (76,000 ფე (დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები) + 21,200 ფე (ცვეთა)) + 2,800 ფე (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯი) + 150 ფე (საოპერაციო იჯარაზე გაწეული ხარჯი) = 27,250 ფე (მიწოდების დანახარჯები)
(გ) 25% (78,000 ფე (დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები) + 25,600 ფე (ცვეთა)) = 25,900 ფე (ადმინისტრაციული დანახარჯები)		25% (76,000 ფე (დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები) + 21,200 ფე (ცვეთა)) = 24,300 ფე (ადმინისტრაციული დანახარჯები)

მაგ. 14 საწარმო, რომელიც აწარმოებს ცემენტის სამშენებლო ბლოკებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სექტორში გამოყენებისთვის, ფლობს 5 სატრანსპორტო საშუალებას.

1-ლი სატვირთო ავტომანქანა გამოიყენება ნედლეულის (ქვიშა და ცემენტი) გადასაზიდად მომწოდებლის საწყობიდან საწარმოს ნედლეულის საწყობში.

მე-2 სატვირთო გამოიყენება აღნიშნული ნედლეულის საწყობიდან ქარხანაში გადასატანად.

მე-3 სატვირთო გამოიყენება საწარმოს ქარხნიდან სამშენებლო ბლოკის მომხმარებელთან მისატანად.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მე-4 ავტომანქანა ემსახურება საწარმოს გაყიდვების თანამშრომლებს პოტენციურ მომხმარებლებთან ვიზიტის დროს.

მე-5 ავტომანქანას იყენებს საწარმოს მთავარი ადმინისტრატორი პირადი მოხმარებისთვის. აღნიშნული ავტომანქანა წარმოადგენს მთავარი ადმინისტრატორის ანაზღაურების პაკეტის ნაწილს.

როგორ უნდა მოახდინოს საწარმომ ავტომანქანების ცვეთის კლასიფიცირება ფუნქციის მიხედვით?

1-ლი და მე-2 ავტომანქანების ცვეთა კლასიფიცირდება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება, მაშინ როდესაც იგი ხარჯად აღიარდება. მე-13 განყოფილების - „მარაგები“ - შესაბამისად, აღნიშნული ცვეთა ჯერ აღიარდება, როგორც მარაგების თვითღირებულება (ანუ აღიარდება, როგორც აქტივი). მაშინ როდესაც მოხდება მარაგების აღიარების შეწყვეტა (მაგალითად, როდესაც ისინი გაიყიდება), აღნიშნული მარაგების (1-ლი და მე-2 ავტომანქანის ცვეთის ჩათვლით) თვითღირებულება აღიარდება ხარჯის სახით (ე.ი. გაყიდული საქონლის თვითღირებულება).

მე-3 და მე-4 ავტომანქანების ცვეთა კლასიფიცირდება, როგორც მიწოდების დანახარჯები, რადგან ისინი დაკავშირებულია საწარმოს მიწოდების საქმიანობასთან.

მე-5 ავტომანქანის ცვეთა აღიარდება ადმინისტრაციული ხარჯის სახით, რადგან იგი დაკავშირებულია საწარმოს ადმინისტრაციულ საქმიანობასთან.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები

ოპერაციებისა და მოვლენების *მსს ფასს* სტანდარტის მოთხოვნების დაცვით აღრიცხვა ხშირად საჭიროებს მსჯელობას, მათ შორის შეფასებების გაკეთებას. ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი მსჯელობების და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ სასარგებლოა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასების პროცესში. შესაბამისად, 8.6 პუნქტის თანახმად, საწარმომ უნდა გაამყდავნოს ინფორმაცია იმ მსჯელობების შესახებ, სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გარდა, რომლებიც ხელმძღვანელობამ მიიღო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

გარდა ამისა, 8.7 პუნქტის შესაბამისად, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამყდავნოს ინფორმაცია მომავალთან დაკავშირებით გამოყენებული ძირითადი დაშვებებისა და აგრეთვე საანგარიშგებო თარიღისათვის განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული სხვა ძირითადი წყაროების შესახებ, რომელთა გამოც არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკი მომდევნო ფინანსურ წელს.

მსს ფასს სტანდარტის სხვა განყოფილებები მოითხოვს ინფორმაციის გამყდარებას კონკრეტული მსჯელობებისა და განუსაზღვრელობების შეფასების შესახებ.

ხშირ შემთხვევაში, საწარმოები *მსს ფასს* სტანდარტის შესაბამისად სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენისას მცირე სირთულეს აწყდებიან. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. მაგალითად, მსჯელობა საჭიროა:

- იმისათვის, რომ შეფასდეს, რომელი დამატებითი სტრიქონის მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური მნიშვნელობები არის აუცილებელი საწარმოს ფინანსური შედეგების გასაგებად;
- რათა განისაზღვროს შეწყვეტილი ოპერაციები და გამოიყოს მათი დაბეგვრის შემდგომი მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციების შემოსავლებისა და ხარჯებისგან;
- რათა შეფასდეს, ხარჯების კლასიფიკაციის რომელი მეთოდი (ფუნქციების თუ ეკონომიკური შინაარსის მიხედვით) უზრუნველყოფს საიმედო და უფრო რელევანტურ ინფორმაციას;
- ზოგიერთი ხარჯის ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაციისთვის, მაგალითად, ხარჯების განაწილება, რომლებიც საწარმოს ერთზე მეტ ფუნქციას უკავშირდება; და
- ზოგიერთი ხარჯის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით კლასიფიცირებისთვის, მაგალითად, ზოგიერთი ხარჯის კომპონენტების განსაცალკევებლად, რომლებიც მოიცავს განსხვავებული ეკონომიკური შინაარსის მუხლებს.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

შედარება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასთან

2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, საწარმოს ფინანსური შედეგების (ე.ი. სრული შემოსავლის) წარდგენისას ძირითადი განსხვავება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასა (იხ. ბასს 1 - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“) და მსს ფასს სტანდარტს შორის (იხ. განყოფილება 5 - „*სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება*“) არის:

- *მსს ფასს* სტანდარტი შედგენილია უფრო მარტივ ენაზე, ვიდრე ფასს სტანდარტების სრული ვერსია;
- *მსს ფასს* სტანდარტის მიხედვით, კომპანიას შეუძლია წარადგინოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება ნაცვლად სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა, იმ შემთხვევაში, თუ იმ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით (იხ. 3.18 პუნქტი). აღნიშნული არჩევანი არ არსებობს ფასს სტანდარტების სრულ ვერსიაში.
- *მსს ფასს* სტანდარტის თანახმად, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მხოლოდ 4 მუხლის წარდგენაა დაშვებული—უცხოური ქვედანაყოფის ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტაში გადაყვანა, ჰეჯირებული ინსტრუმენტების რეალური ღირებულებების ცვლილებები, დადგენილგადასახდელიანი პროგრამებიდან მიღებული აქტივარული მოგება და ზარალი და ცვლილებები გადაფასების მოდელის გამოყენებით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტში. ფასს სტანდარტების სრული ვერსია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში უფრო მეტი მუხლის წარდგენის შესაძლებლობას უშვებს (მაგალითად, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების (ბასს 39) ან წილობრივი ინსტრუმენტების (ფასს 9) რეალური ღირებულების მთლიანი ცვლილება და არამატერიალური აქტივების გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობები).
- ფასს სტანდარტების სრული ვერსიისგან განსხვავებით, *მსს ფასს* სტანდარტი არ მოითხოვს სხვა სრული შემოსავლის თითოეული მუხლისთვის მოგების გადასახადის თანხების გამჟღავნებას. *მსს ფასს* სტანდარტის 19.40(ა) პუნქტის შესაბამისად, საწარმოს ევალება გაამჟღავნოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აგრეგირებული თანხა იმ მუხლებისთვის, რომლებიც აღიარებულია, როგორც სხვა სრული შემოსავლის ელემენტები; ხოლო ბასს 1-ის თანახმად, საწარმომ უნდა აჩვენოს სხვა სრული შემოსავლის თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებული მოგების გადასახადი. გარდა ამისა, ფასს სტანდარტების სრული ვერსიის შესაბამისად, თუ საწარმო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარადგენს სხვა სრული შემოსავლის მუხლებს დაბეგვრამდელი მდგომარეობით, მათთან დაკავშირებული გადასახადი უნდა განაწილდეს იმ მუხლებს შორის, რომელთა რეკლასიფიცირება შემდგომში შესაძლებელია მოგებაში ან ზარალში და რომლებიც შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში. *მსს ფასს* სტანდარტი არ მოითხოვს დაკავშირებული გადასახადის განაწილებას იმ მუხლებს შორის, რომლებიც შემდგომში რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში და რომლებიც შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

- ფასს სტანდარტების სრული ვერსია მოითხოვს სხვა სრული შემოსავლის ზოგიერთი მუხლის რეკლასიფიცირებას მოგებაში ან ზარალში (ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც „ხელახალ აღიარებას“), მას შემდეგ რაც მოხდება მათი რეალიზება (მაგალითად, ეს შეეხება გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებს (ბასს 39) და უცხოური ქვედანაყოფის ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტაში გადაყვანას). ჰეჯირების ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ზოგიერთი ტიპის მოგება და ზარალის გარდა (იხ. განყოფილება 12 „*სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები*“), *მსს* ფასს სტანდარტი არ იძლევა სხვა მუხლების რეკლასიფიკაციის უფლებას.
- ფასს სტანდარტების სრული ვერსია, ისევე როგორც *მსს* ფასს სტანდარტი, მოითხოვს, რომ საწარმომ სხვა სრული შემოსავლის მუხლები დააჯგუფოს ორ კატეგორიად, კერძოდ, მუხლებად, რომლებიც შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში და რომლებიც შემდგომში რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც დაკმაყოფილდება გარკვეული პირობები. თუმცა, *მსს* ფასს სტანდარტის თანახმად, არ არის საჭირო წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს სხვა სრული შემოსავლის წილის ამგვარად დაჯგუფება, მაშინ როდესაც ბასს 1-ით ეს სავალდებულოა.
- თუ საწარმო, რომელიც იყენებს ფასს სტანდარტების სრულ ვერსიას, ხარჯების კლასიფიცირებას ახდენს ფუნქციების მიხედვით, ის ასევე ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია ხარჯების ეკონომიკური შინაარსის შესახებ. *მსს* ფასს სტანდარტი მკაფიოდ არ მოითხოვს ხარჯების ეკონომიკური შინაარსის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.
- ფასს სტანდარტის სრული ვერსია შეწყვეტილი ოპერაციებისთვის განსაზღვრავს უფრო დეტალურ განმარტებით შენიშვნებს და მოიცავს მითითებებს „გასაყიდად გამიზნულის“ მნიშვნელობის შესახებ.
- *მსს* ფასს სტანდარტთან შედარებით ფასს სტანდარტების სრული ვერსია მოიცავს უფრო დეტალურ მითითებებს ქვეჯგუფების ჯამური მნიშვნელობების წარდგენასთან დაკავშირებით.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს და შეამოწმეთ თქვენი ცოდნა *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ჩათვალეთ, რომ ქვემოთ მოცემული ყველა თანხა არსებითია.

ტესტის დასრულების შემდეგ, თქვენი პასუხები შეამოწმეთ ქვემოთ მოცემული პასუხების მიხედვით.

მონიშნეთ უჯრა ყველაზე სწორი პასუხის გვერდით.

კითხვა 1

20X8 წელს, საწარმომ, მას შემდეგ, რაც 20X7 წლის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა გამოსაცემად, აღმოაჩინა, რომ ცვეთის ხარჯის გამოთვლისას შეცდომა დაუშვა. შეცდომა მოხდა 20X6 წლის განმავლობაში. საწარმო წარადგენს ერთი წლის შესადარის მონაცემებს. 20X8 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული შეცდომის კორექტირების შედეგი:

- (ა) აღიარდება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ანგარიშგების მოგებაში ან ზარალში.
- (ბ) აღიარდება 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ანგარიშგების მოგებაში ან ზარალში.
- (გ) აღიარდება საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში მთლიანი სრული შემოსავლის პოზიციის გარეთ, გაუნაწილებელი მოგების კორექტირების სახით, 20X7 წლის 1-ელ იანვარს.

შენიშვნა: პირველ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა *მსს ფასს* სტანდარტის მე-10 განყოფილებაში „საღარიცხვო პოლიტიკა, შევასებები და შეცდომები“ მოცემული მოთხოვნების ცოდნა. მე-10 განყოფილების მოთხოვნები განხილულია მე-10 მოდულში.

კითხვა 2

ქვემოთ ჩამოთვლილი მოგებისა და ზარალის ტიპებიდან რომელი აღიარდება სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში (ე.ი. მთლიანი სრული შემოსავლის შემადგენლობაში, მოგებისა და ზარალის პოზიციის გარეთ)?

- (ა) შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება და ზარალი.
- (ბ) მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა საწარმოთაშორისი ვაჭრობის შედეგად მიღებული ნაშთის გადაყვანით, და არ წარმოადგენს საწარმოს ნეტო ინვესტიციას უცხოურ ქვედანაყოფში.
- (გ) ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული გადაფასების ნამეტის ცვლილება.
- (დ) მოგება და ზარალი, რომელსაც საწარმოს ხელმძღვანელობა განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ მუხლებს.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

კითხვა 3

ქვემოთ ჩამოთვლილი მოგებისა და ზარალის ტიპებიდან რომლის აღიარება შეუძლია საწარმოს (ე.ი. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა) სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში (ე.ი. მთლიანი სრული შემოსავლის შემადგენლობაში, მოგებისა და ზარალის პოზიციის გარეთ)?

- (ა) შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება და ზარალი.
- (ბ) მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა საწარმოთაშორისი ვაჭრობის შედეგად მიღებული ნაშთის გადაყვანით, და არ წარმოადგენს საწარმოს ნეტო ინვესტიციას უცხოურ ქვედანაყოფში.
- (გ) დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებიდან მიღებული აქტუარული მოგება და ზარალი.
- (დ) მოგება და ზარალი, რომელსაც საწარმოს ხელმძღვანელობა განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ მუხლებს.

შენიშვნა: მე-3 კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა მსს ფასს სტანდარტის 28-ე „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებ“ და 30-ე განყოფილებებში „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში“ მოცემული მოთხოვნების ცოდნა. 28-ე და 30-ე განყოფილებების მოთხოვნები განხილულია 28-ე და 30-ე მოდულებში, შესაბამისად.

კითხვა 4

ქვემოთ მოცემული ტერმინებიდან რომელი არ წარმოადგენს სრული შემოსავლის ანგარიშგების სტრიქონის მუხლის სახელწოდებას?

- (ა) ამონაგები.
- (ბ) საერთო მოგება.
- (გ) მოგება დაბეგვრამდე.
- (დ) განსაკუთრებული მუხლი.

კითხვა 5

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შეწყვეტილი ოპერაცია?

- (ა) საწარმოს სამი დანადგარი განთავსებული აქვს ერთ ქარხანაში. სამივე მათგანი გამოიყენება ერთი და იგივე პროდუქტის საწარმოებლად. ერთ-ერთი დანადგარის გაყიდვით საწარმო მნიშვნელოვნად ამცირებს თავის ოპერაციებს.
- (ბ) საწარმოს სამი დანადგარი განთავსებული აქვს ერთ ქარხანაში. თითოეული მათგანი გამოიყენება სრულიად განსხვავებული პროდუქტების საწარმოებლად და იმართება, როგორც განცალკევებული სამეურნეო ერთეული. ერთ-ერთი დანადგარის გაყიდვით საწარმო მნიშვნელოვნად ამცირებს თავის ოპერაციებს და შედეგად წყვეტს აღნიშნული სამი პროდუქტიდან ერთ-ერთის წარმოებას.
- (გ) საწარმო ფლობს სამ ქარხანას, რომლებიც გამოიყენება ერთი და იგივე პროდუქტის საწარმოებლად. საწარმოს თითოეული მათგანი განთავსებული აქვს სხვადასხვა კონტინენტზე და იქ წარმოებულ პროდუქტს ყიდის ადგილობრივ მომხმარებელზე. ერთ-ერთი ქარხნის გაყიდვით საწარმო მნიშვნელოვნად ამცირებს თავის ოპერაციებს.
- (დ) ზემოთ მოცემული - (ბ) და (გ).
- (ე) სიტუაციები (ა)-(გ).

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

კითხვა 6

ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა სრული შემოსავლის მუხლებიდან რომელი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, თუ გარკვეული პირობები დაკმაყოფილდება?

- (ა) ზოგიერთი სახის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნა უცხოური ქვედანაყოფის ფინანსური ანგარიშგების სხვა ვალუტაში გადაყვანის შედეგად.
- (ბ) ზოგიერთი სახის აქტუარული მოგება და ზარალი.
- (გ) გარკვეული ცვლილებები ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაში.
- (დ) ცვლილებები გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტში.

კითხვა 7

როდესაც ხარჯები კლასიფიცირდება ფუნქციის მიხედვით, პერსონალის ხარჯები განიხილება, როგორც:

- (ა) ადმინისტრაციული ხარჯები.
- (ბ) მიწოდების ხარჯები.
- (გ) გაყიდული საქონლის თვითღირებულება.
- (დ) განაწილება ზემოთ მოცემულ (ა)–(გ) კატეგორიებზე, დაქირავებულ პირთა ფუნქციების შესაბამისად.

კითხვა 8

საწარმომ ხარჯების ანალიზი უნდა წარადგინოს:

- (ა) ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.
- (ბ) ხარჯების ფუნქციის მიხედვით.
- (გ) ეკონომიკური შინაარსის, ან საწარმოში მათი ფუნქციის მიხედვით, არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა.
- (დ) ეკონომიკური შინაარსის, ან მათი ფუნქციის მიხედვით, რომელსაც საწარმო ამჯობინებს.

კითხვა 9

ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანალიზის შემთხვევაში, განცალკევებული მუხლების სახით წარმოდგენილი იქნება:

- (ა) მასალების შეძენა, ტრანსპორტირების დანახარჯები, დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები, ცვეთა და განსაკუთრებული მუხლები.
- (ბ) მასალების შეძენა, კომერციული ხარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები, დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები, ცვეთა და გადასახადები.
- (გ) ცვეთა, მასალების შეძენა, ტრანსპორტირების დანახარჯები, დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები და სარეკლამო საქმიანობის დანახარჯები.
- (დ) გაყიდული საქონლის თვითღირებულება, ადმინისტრაციული ხარჯები და მიწოდების დანახარჯები.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

კითხვა 10

ხარჯების ფუნქციის მიხედვით ანალიზის შემთხვევაში, განცალკევებული მუხლების სახით წარმოდგენილი იქნება:

- (ა) მასალების შეძენა, ტრანსპორტირების დანახარჯები, დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები, ცვეთა და განსაკუთრებული მუხლები.
- (ბ) მასალების შეძენა, მიწოდების ხარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები, დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები, ცვეთა და გადასახადები.
- (გ) ცვეთა, მასალების შეძენა, ტრანსპორტირების დანახარჯები, დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები და სარეკლამო საქმიანობის დანახარჯები.
- (დ) გაყიდული საქონლის თვითღირებულება, ადმინისტრაციული ხარჯები და მიწოდების დანახარჯები.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

პასუხები

- კითხვა 1 (გ) იხ. 5.4(ა) და 5.8 პუნქტები.
- კითხვა 2 (გ) იხ. პუნქტი 5.4(ბ)(iv).
- კითხვა 3 (გ) იხ. 5.4(ბ)(ii) და 28.24(ბ) პუნქტები.
- კითხვა 4 (დ) იხ. პუნქტი 5.10.
- კითხვა 5 (დ) შეწყვეტილი ოპერაციისა და საწარმოს კომპონენტის განმარტებები იხილეთ ტერმინების ლექსიკონში.
- კითხვა 6 (გ) იხ. 5.4(ბ), 5.5(ზ)(ii) და 12.23 პუნქტები.
- კითხვა 7 (დ) იხ. პუნქტი 5.11(ბ).
- კითხვა 8 (გ) იხ. პუნქტი 5.11.
- კითხვა 9 (გ) იხ. პუნქტი 5.11(ა).
- კითხვა 10 (დ) იხ. პუნქტი 5.11(ბ).

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

გამოიყენეთ ცოდნა

გამოიყენეთ *მსს ფასს* სტანდარტის გათვალისწინებით სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნების ცოდნა და ამოხსენით ქვემოთ მოცემული ცალკეული სიტუაციური მაგალითები.

ქვემოთ წარმოდგენილია 3 სიტუაციური მაგალითი. თუმცა, მე-2 სიტუაციური მაგალითი 1-ლი მაგალითის იდენტურია, გარდა იმ პირობისა, რომ იგი მოიცავს დამატებით მუხლებს, რომელიც შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ შეასრულოთ 1-ლი და მე-2 სიტუაციური მაგალითებიდან ერთ-ერთი.

სიტუაციური მაგალითების ამოხსნის დასრულების შემდგომ, შეამოწმეთ თქვენი პასუხები ქვემოთ მოცემული პასუხების მიხედვით.

სიტუაციური მაგალითი 1

G მსს ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის გამოყენებით წარადგენს სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ხარჯებს აკლასიფიცირებს ფუნქციის მიხედვით.

G მსს

სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბერს

	20X8
ამონაგები	20,000 ^(ა)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(7,000) ^(ბ)
მიწოდების დანახარჯები	(1,000) ^(გ)
ადმინისტრაციული ხარჯები	(4,000) ^(დ)
სხვა ხარჯები	(2,500) ^(ე)
განსაკუთრებული მუხლი	(500) ^(ვ)
ფინანსური დანახარჯები	(1,000) ^(ზ)
მოგება დაბეგრამდე	4,000
მოგების გადასახადი	(1,600) ^(თ)
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	(400) ^(ი)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის	2,000

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ქვემოთ მოცემული შენიშვნები არ წარმოადგენს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სრული შემოსავლის ანგარიშგების ნაწილს:

	განგრძობ		მთლიანი თანხა
	ითი ოპერაცია	შეწყვეტილი ოპერაცია	
თანხები გამოსახულია ფე-ით			
(ა) საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ზრდა	3,000		3,000
საქონლის გაყიდვა	15,000	1,500	16,500
შეწყვეტილი ოპერაციის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა	500		500
ამონაგები	18,500	1,500	20,000
(ბ) გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6,000	1,000	7,000
(გ) მიწოდების დანახარჯები	500	500	1,000
(დ) ადმინისტრაციული ხარჯები	3,000	1,000	4,000
(ე) სარეკლამო საქმიანობის დანახარჯები	1,000		1,000
დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი	1,500		1,500
სხვა ხარჯები	2,500		2,500
(ვ) გაყიდვების ოფისის აღჭურვილობის გაუფასურება	500		500
(ზ) ფინანსური დანახარჯები	1,000		1,000
(თ) შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი ექვემდებარება შემოსავლის ან ხარჯის 40%-იან გადასახადს (გადავადებული და მიმდინარე).			
(ი) გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	400		400

20X8 წლის განმავლობაში G მსს-მ დამატებითი აქციების გამოშვებით თავისი მესაკუთრეებისგან მოიზიდა 1,000 ფე.

G მსს-ს მიერ შერჩეული საადრიცხვო პოლიტიკის თანახმად, იგი დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებულ აქტუარულ მოგებასა და ზარალს აღიარებს სხვა სრულ შემოსავალში.

ნაწილი A: ჩამოთვალეთ G მსს-ს მიერ მომზადებული 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენისას დაშვებული შეცდომების სია.

ნაწილი B: მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მოამზადეთ G მსს -ს ფინანსური შედეგების ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის გამოყენებით. უგულებელყავით შესაძარისი რიცხვები.

ნაწილი C: მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მოამზადეთ G მსს-ს ფინანსური შედეგების ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის გამოყენებით. უგულებელყავით შესაძარისი რიცხვები.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 1 - პასუხი: ნაწილი A

შეცდომები, რომლებიც დაშვებულია G მსს-ს მიერ მომზადებულ 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მოიცავს შემდეგს:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა უნდა მოხდეს „20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის“ (და არა „20X8 წლის 31 დეკემბერს“).
2. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია წარსადგენი ვალუტის შესახებ (ე.ი. ფულადი ერთეულები ანუ ფე).
3. უნდა გამჟღავნდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხების დამრგვალების ხარისხი.
4. სრული შემოსავლის ანგარიშგების თითოეული მუხლისთვის წარდგენილ უნდა იქნეს სულ მცირე ერთი წლის შესადარისი ინფორმაცია (იხ. პუნქტი 3.14).
5. შემოსავლების ან ხარჯების მუხლები არ უნდა იქნეს წარდგენილი „განსაკუთრებული მუხლის“ სახით (იხ. პუნქტი 5.10).
6. ცალკე უნდა გამოიყოს მუხლი „შეწყვეტილი ოპერაციები“, რომელიც წარადგენს შეწყვეტილი ოპერაციიდან წარმოშობილ დაბეგვრის შემდგომ ზარალს, შეწყვეტილი ოპერაციის აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობის ჩათვლით (იხ. პუნქტი 5.5(ე)).
7. „წლიური მოგების“ მუხლი უნდა იყოს წარმოდგენილი „შეწყვეტილი ოპერაციების“ შემდეგ. მაგრამ „სხვა სრული შემოსავლის“ მუხლამდე (იხ. პუნქტი 5.5(ვ)).
8. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალკე ნაწილის სახით („წლიური მოგების“ ქვემოთ) უნდა იყოს წარმოდგენილი „სხვა სრული შემოსავალი“.
9. სხვა სრული შემოსავლის თითოეული მუხლის თანხები (ე.ი. დადგენილგადასახდელიანი პროგრამებიდან მიღებული აქტუარული ზარალი) უნდა გამჟღავნდეს განცალკევებით, და დაჯგუფდეს იმ მუხლების სახით, რომლებიც: (ა) შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში; და/ან (ბ) შემდგომში რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, თუ გარკვეული პირობები დაკმაყოფილდება (იხ. პუნქტები 5.5 (ზ) და 28.24).
10. საწარმომ განცალკევებით უნდა გაამჟღავნოს აგრეგირებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სხვა სრული შემოსავლის მუხლებთან (იხ. პუნქტები 5.5(დ) და 29.32(ა)), მიუხედავად იმისა, რომ მისი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენა საჭირო არაა.
11. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ უნდა იყოს წარმოდგენილი გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები.
12. საწარმომ უნდა წარადგინოს დამატებითი სტრიქონის მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები, თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად (იხ. პუნქტი 5.9).

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 1 - პასუხი: ნაწილი B

G მსს—სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (თანხები გამოსახულია ფულადი ერთეულებით)

	20X8	
ამონაგები	15,000	(ა)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	<u>(6,000)</u>	(ბ)
საერთო მოგება	9,000	(გ)
სხვა შემოსავლები—საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ზრდა	3,000	(დ)
მიწოდების დანახარჯები	(2,000)	(ე)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,000)	(ვ)
ფინანსური დანახარჯები	<u>(1,000)</u>	
მოგება დაბეგვრამდე	6,000	(ზ)
მოგების გადასახადი	<u>(2,400)</u>	(ი)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის	3,600	(ი)
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	<u>(300)</u>	(ბ)
წლიური მოგება	3,300	
სხვა სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის (იგი არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში):		
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი, გადასახადის გამოკლებით	<u>(900)</u>	(კ)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის	2,400	

ქვემოთ მოცემული გამოთვლები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები არ წარმოადგენს G მსს-ს ფინანსური ანგარიშგების ნაწილს:

- (ა) 15,000 ფე - განგრძობითი ოპერაციების ფარგლებში გაყიდული საქონლიდან მიღებული ამონაგები.
- (ბ) 6,000 ფე - განგრძობითი ოპერაციების ფარგლებში გაყიდული საქონლის თვითღირებულება.
- (ა) იმ დამატებითი სტრიქონის მუხლების, ქვესათაურებისა და ქვეჯგუფების ჯამური თანხების მაგალითები, რომლებსაც საწარმო წარადგენს, თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად (იხ. პუნქტი 5.9).
- (ბ) 500 ფე (განგრძობითი ოპერაციების ფარგლებში მიღებული) + 1,000 ფე (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯები) + 500 ფე (გაყიდვების ოფისის აღჭურვილობის გაუფასურება) = 2,000 ფე.
- (ა) 3,000 ფე (განგრძობით ოპერაციებთან დაკავშირებით)
- (ა) 6,000 ფე-ის (მოგება დაბეგვრამდე) 40% = 2,400 ფე.
- (ა) 300 ფე(ი) (შეწყვეტილი ოპერაციის ფარგლებში განხორციელებული გაყიდვიდან მიღებული დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა) - 600 ფე(თ) (შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული დაბეგვრის შემდგომი ზარალი) = 300 ფე (სტრიქონის მუხლი - „შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის“).

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

- ④ 1,500 ფე (ამონაგები) - 1,000 ფე (გაყიდული საქონლის თვითღირებულება) - 500 ფე (მიწოდების დანახარჯები) - 1,000 ფე (ადმინისტრაციული ხარჯები) = 1,000 ფე (შეწყვეტილი ოპერაციის შედეგად მიღებული ზარალი). 1,000 ფე - 1,000 ფე-ის 40% (გადასახადი) = 600 ფე (შეწყვეტილი ოპერაციის შედეგად მიღებული დაბეგვრის შემდგომი ზარალი).
- ⑤ 500 ფე (შეწყვეტილი ოპერაციის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა) - 500 ფე-ის 40% (გადასახადი) = 300 ფე (შეწყვეტილი ოპერაციის აქტივების გასვლასთან დაკავშირებული დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა).
- ⑥ 1,500 ფე (დაბეგვრამდე მიღებული აქტუარული ზარალი) - 1,500 ფე-ის 40% (გადასახადი) = 900 ფე (დაბეგვრის შემდგომი აქტუარული ზარალი).

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 1 - პასუხი: ნაწილი C

G მსს—მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (თანხები გამოსახულია ფულადი ერთეულებით)

	<i>20X8</i>	
ამონაგები	15,000	(ა)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	<u>(6,000)</u>	(ბ)
საერთო მოგება	9,000	(ა)
სხვა შემოსავლები—საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ზრდა	3,000	(ა)
მიწოდების დანახარჯები	(2,000)	(ა)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,000)	(ა)
ფინანსური დანახარჯები	<u>(1,000)</u>	
მოგება დაბეგრამდე	6,000	(ა)
მოგების გადასახადი	<u>(2,400)</u>	(ა)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის	3,600	(ა)
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	<u>(300)</u>	(ა)
წლიური მოგება	3,300	

G მსს—სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (თანხები გამოსახულია ფულადი ერთეულებით)

	<i>20X8</i>	
წლიური მოგება	3,300	
სხვა სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის (იგი არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში):		
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი, გადასახადის გამოკლებით	<u>(900)</u>	(ა)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის	2,400	

გამოთვლებისა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისათვის, იხილეთ ნაწილი B.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 2

მშობელი H მსს, (75%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს მფლობელი), წარადგენს კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას. იგი იყენებს ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდს და ხარჯებს აკლასიფიცირებს მათი ფუნქციის მიხედვით.

H მსს

სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბერს

	20X8
ამონაგები	20,000 ^(ა)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(7,000) ^(ბ)
მიწოდების დანახარჯები	(1,000) ^(გ)
ადმინისტრაციული ხარჯები	(4,000) ^(დ)
სხვა ხარჯები	(2,500) ^(ე)
განსაკუთრებული მუხლი	(500) ^(ვ)
ფინანსური დანახარჯები	(1,000) ^(ზ)
მოგება დაბეგვრამდე	4,000
მოგების გადასახადი	(1,600) ^(თ)
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	(400) ^(ი)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის	2,000

ქვემოთ მოცემული შენიშვნები არ წარმოადგენს H მსს-ს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სრული შემოსავლის ანგარიშგების ნაწილს:

	მშობელი საწარმო		შვილობილი	მთლიანი თანხა
	განგრძობითი ოპერაცია	შეწყვეტილი ოპერაცია	საწარმო	
თანხები გამოსახულია ფე-ით				
^(ა) საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ზრდა	3,000			3,000
საქონლის გაყიდვა	10,000	1,500	5,000	16,500
შეწყვეტილი ოპერაციის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა	500			500
ამონაგები	13,500	1,500	5,000	20,000
გაყიდული საქონლის				
^(ბ) თვითღირებულება	4,000	1,000	2,000	7,000
^(გ) მიწოდების დანახარჯები	100	500	400	1,000
^(დ) ადმინისტრაციული ხარჯები	2,000	1,000	1,000	4,000

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	მშობელი საწარმო		შვილობილი საწარმო	მთლიანი თანხა
	განგრძობითი ოპერაცია	შეწყვეტილი ოპერაცია		
(ა) სარეკლამო საქმიანობის დანახარჯები და დგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი	1,000			1,000
სხვა ხარჯები	700		800	1,500
გაყიდვების ოფისის აღჭურვილობის გაუფასურება	500			500
(ბ) ფინანსური დანახარჯები	500		500	1,000
(გ) შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი ექვემდებარება შემოსავლის ან ხარჯის 40%-იან გადასახადს (გადავადებული და მიმდინარე) გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	400			400

20X8 წლის განმავლობაში მშობელმა საწარმომ თავის მშობელი საწარმოსთვის დამატებითი აქციების გამოშვებით მოიზიდა 1,000 ფე.

ჯგუფის მიერ შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, იგი დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებულ აქტუარულ მოგებასა და ზარალს აღიარებს სხვა სრულ შემოსავალში.

ნაწილი A: ჩამოთვალეთ H მსს-ს მიერ მომზადებული 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენისას დაშვებული შეცდომები.

ნაწილი B: მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მოამზადეთ H მსს-ს ფინანსური შედეგების კონსოლიდირებული ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის გამოყენებით. უგულებელყავით შესადარისი რიცხვები.

ნაწილი C: მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მოამზადეთ H მსს -ის ფინანსური შედეგების კონსოლიდირებული ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ორი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის გამოყენებით.

უგულებელყავით შესადარისი რიცხვები.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 2 - პასუხი: ნაწილი A

შეცდომები, რომლებიც დაშვებულია H მსს-ს მიერ მომზადებულ 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მოიცავს შემდეგს:

1. სათაურში გამოტოვებულია სიტყვა „კონსოლიდირებული“ (ე.ი. სათაური წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგნაირად - „კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება“).
2. სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა უნდა მოხდეს „20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის“ (და არა „20X8 წლის 31 დეკემბერს“).
3. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია წარსადგენი ვალუტის შესახებ (ე.ი. ფულადი ერთეულები ანუ ფე).
4. უნდა გამჟღავნდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხების დამრგვალების ხარისხი.
5. სრული შემოსავლის ანგარიშგების თითოეული მუხლისთვის წარდგენილ უნდა იქნეს სულ მცირე ერთი წლის შესადარისი ინფორმაცია (იხ. პუნქტი 3.14).
6. შემოსავლების ან ხარჯების მუხლები არ უნდა იქნეს წარდგენილი „განსაკუთრებული მუხლის“ სახით (იხ. პუნქტი 5.10).
7. ცალკე უნდა გამოიყოს სტრიქონის მუხლი „შეწყვეტილი ოპერაციები“, რომელიც წარადგენს შეწყვეტილი ოპერაციიდან წარმოშობილ დაბეგვრის შემდგომ ზარალს, შეწყვეტილი ოპერაციის აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობის ჩათვლით (იხ. პუნქტი 5.5(ე)).
8. „წლიური მოგების“ სტრიქონის მუხლი უნდა იყოს წარმოდგენილი „შეწყვეტილი ოპერაციების“ შემდეგ, მაგრამ „სხვა სრული შემოსავლის“ მუხლამდე (იხ. პუნქტი 5.5(ვ)).
9. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალკე ნაწილის სახით („წლიური მოგების“ ქვემოთ) უნდა იყოს წარმოდგენილი „სხვა სრული შემოსავალი“.
10. ჯგუფმა განცალკევებით უნდა წარმოადგინოს პერიოდის მოგება ან ზარალი, რომელიც მისაკუთვნებელია არამაკონტროლებელ წილსა და მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე (იხ. პუნქტი 5.6(ა)).
11. ჯგუფმა განცალკევებით უნდა წარმოადგინოს პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნებელია არამაკონტროლებელ წილსა და მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე (იხ. პუნქტი 5.6(ბ)).
12. სხვა სრული შემოსავლის თითოეული მუხლის თანხები (ე.ი. დადგენილგადასახდელიანი პროგრამებიდან მიღებული აქტუარული ზარალი) უნდა გამჟღავნდეს განცალკევებით, და დაჯგუფდეს იმ მუხლების სახით, რომლებიც: (ა) შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში; და/ან (ბ) შემდგომში რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, თუ გარკვეული პირობები დაკმაყოფილდება (იხ. პუნქტები 5.5 (ზ) და 28.24).
13. საწარმომ განცალკევებით უნდა წარმოადგინოს აგრეგირებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სხვა სრული შემოსავლის მუხლებთან (იხ. პუნქტები 5.5(დ) და 29.32(ა)), მიუხედავად იმისა, რომ მათი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენა საჭირო არაა.
14. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ უნდა იყოს წარმოდგენილი გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები.
15. H მსს-მა უნდა წარადგინოს დამატებითი სტრიქონის მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები, თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია ჯგუფის საკმეარობის ფინანსური შედეგების გასაგებად (იხ. პუნქტი 5.9).

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 2 - პასუხი: ნაწილი B

H მსს—20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება (თანხები გამოსახულია ფულადი ერთეულებით)

	20X8	
ამონაგები	15,000	(ა)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	<u>(6,000)</u>	(ბ)
საერთო მოგება	9,000	(გ)
სხვა შემოსავლები—საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ზრდა	3,000	(დ)
მიწოდების დანახარჯები	(2,000)	(დ)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,000)	(ე)
ფინანსური დანახარჯები	<u>(1,000)</u>	(ვ)
მოგება დაბეგვრამდე	6,000	(გ)
მოგების გადასახადი	<u>(2,400)</u>	(ზ)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის	3,600	(დ)
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	<u>(300)</u>	(თ)
წლიური მოგება	3,300	
სხვა სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის, რომელიც არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში:		
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი, გადასახადის გამოკლებით	<u>(900)</u>	(ლ)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის	<u>2,400</u>	
მოგება, რომელიც მისაკუთვნებელია:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	3,135	(ბ)
არამაკონტროლებელ წილზე	<u>165</u>	(ვ)
	<u>3,300</u>	
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნებელია:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	2,355	(ა)
არამაკონტროლებელ წილზე	<u>45</u>	(დ)
	<u>2,400</u>	

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ქვემოთ მოცემული გამოთვლები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები არ წარმოადგენს H მსს-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილს:

- (ა) 10,000 ფე (მშობელი საწარმო) + 5,000 ფე (შვილობილი საწარმო) = 15,000 ფე.
- (ბ) 4,000 ფე (მშობელი საწარმო) + 2,000 ფე (შვილობილი საწარმო) = 6,000 ფე.
- (გ) იმ დამატებითი სტრიქონის მუხლების, ქვესათაურებისა და ქვეჯგუფების ჯამური თანხების მაგალითები, რომლებსაც საწარმო წარადგენს, თუ ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების გასაგებად (იხ. პუნქტი 5.9).
- (დ) 100 ფე (მშობელი საწარმო) + 1,000 ფე (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯები) + 500 ფე (გაყიდვების ოფისის აღჭურვილობის გაუფასურება) + 400 ფე (შვილობილი საწარმო) = 2,000 ფე.
- (ე) 2,000 ფე (მშობელი საწარმო) + 1,000 ფე (შვილობილი საწარმო) = 3,000 ფე.
- (ვ) 500 ფე (მშობელი საწარმო) + 500 ფე (შვილობილი საწარმო) = 1,000 ფე.
- (ზ) 40% (6,000 ფე (კონსოლიდირებული მოგება დაბეგრამდე) = 2,400 ფე.
- (თ) 300 ფე(კ) (შეწყვეტილი ოპერაციის ფარგლებში განხორციელებული გაყიდვიდან მიღებული დაბეგრის შემდგომი შემოსულობა) - 600 ფე(ი) (შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული დაბეგრის შემდგომი ზარალი) = 300 ფე (მუხლი - „შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის“).
- (ი) 1,500 ფე (ამონაგები) - 1,000 ფე (გაყიდული საქონლის თვითღირებულება) - 500 ფე (მიწოდების დანახარჯები) - 1,000 ფე (ადმინისტრაციული ხარჯები) = 1,000 ფე (შეწყვეტილი ოპერაციის შედეგად მიღებული ზარალი). 1,000 ფე - 1,000 ფე-ის 40% (გადასახადი) = 600 ფე (შეწყვეტილი ოპერაციის შედეგად მიღებული დაბეგრის შემდგომი ზარალი).
- (კ) 500 ფე (შეწყვეტილი ოპერაციის აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა) - 500 ფე-ის 40% (გადასახადი) = 300 ფე (შეწყვეტილი ოპერაციის აქტივების გასვლასთან დაკავშირებული დაბეგრის შემდგომი შემოსულობა).
- (ლ) 700 ფე (მშობელი საწარმო) + 800 ფე (შვილობილი საწარმო) = 1,500 ფე (დაბეგრამდე მიღებული აქტუარული ზარალი). 1,500 ფე გამოკლებული 1,500 ფე-ის 40% (გადასახადი) = 900 ფე (დაბეგრის შემდგომი აქტუარული ზარალი).
- (მ) 2,640 ფე(ო) (მშობელი საწარმოს მიერ მიღებული წლიური მოგება) + 75% (660 ფე(ნ) (შვილობილი საწარმოს მიერ მიღებული წლიური მოგება)) = 3,135 ფე.
- (ნ) 25% (660 ფე(ო) (შვილობილი საწარმოს მიერ მიღებული წლიური მოგება)) = 165 ფე.

(ა)	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო	მთლიანი თანხა
	ფე	ფე	ფე
ამონაგები	10,000	5,000	15,000
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ზრდა	3,000	-	3,000
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(4,000)	(2,000)	(6,000)
მიწოდების დანახარჯები	(1,600)	(400)	(2,000)
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,000)	(1,000)	(3,000)
ფინანსური დანახარჯები	(500)	(500)	(1,000)
მოგება დაბეგრამდე	4,900	1,100	6,000
გადასახადზე გაწეული ხარჯი (დაბეგრამდე მოგების 40%)	(1,960)	(440)	(2,400)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება	2,940	660	3,600
შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	(300)	-	(300)
წლიური მოგება	2,640	660	3,300

(ა) 1,220 ფე(ვ) (მშობელი საწარმოს მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის) + 75% (180 ფე(ნ) (შვილობილი საწარმოს მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის)) = 2,355 ფე.

15% × (180 ფე(ნ) (შვილობილი საწარმოს მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის)) = 45 ფე.

(ა)

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

(რ)	მშობელი	შვილობილი	მთლიანი
	საწარმო	საწარმო	თანხა
	შე	შე	შე
მოგება მოცემული წლისთვის (იხ. ზემოთ მოცემული პუნქტი ⁽⁶⁾)	2,640	660	3,300
სხვა სრული შემოსავალი—დადგენილგადასახდელიანი პროგრამებიდან მიღებული აქტუარული ზარალი	(700)	(800)	(1,500)
აქტუარულ ზარალზე დარიცხული მოგების გადასახადის ნორმა (40%)	280	320	600
სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით	(420)	(480)	(900)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის	2,220	180	2,400

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 2 - პასუხი: ნაწილი C

H მსს—კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (თანხები გამოსახულია ფულადი ერთეულებით)

	20X8	
ამონაგები	15,000	(ა)
გაცივებული საქონლის თვითღირებულება	<u>(6,000)</u>	(ბ)
საერთო მოგება	9,000	(ა)
სხვა შემოსავლები—საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ზრდა	3,000	(ა)
მიწოდების დანახარჯები	(2,000)	(დ)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,000)	(ე)
ფინანსური დანახარჯები	<u>(1,000)</u>	(ვ)
მოგება დაბეგვრამდე	6,000	(ა)
მოგების გადასახადი	<u>(2,400)</u>	(ზ)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის	3,600	(ა)
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი მოცემული წლისთვის	<u>(300)</u>	(თ)
წლიური მოგება	<u>3,300</u>	
მოგება, რომელიც მისაკუთვნებელია:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	3,135	(ბ)
არამაკონტროლებელ წილზე	<u>165</u>	(ბ)
	3,300	

H მსს—კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (თანხები გამოსახულია ფულადი ერთეულებით)

	20X8	
წლიური მოგება	3,300	
სხვა სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის (რომელიც არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში):		
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებებიდან მიღებული აქტუარული ზარალი, გადასახადის გამოკლებით	<u>(900)</u>	(ლ)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის	<u>2,400</u>	
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნებელია:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე	2,355	(ბ)
არამაკონტროლებელ წილზე	<u>45</u>	(ე)
	2,400	

გამოთვლებისა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისთვის. იხილეთ ნაწილი B.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 3

J მსს წარადგენს სრული შემოსავლის ანგარიშგებას ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდის გამოყენებით. J მსს-მ თავის ფინანსურ ანგარიშგებაში 20X4 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება წარადგინა შემდეგნაირად:

J მსს—სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X4 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ათასებში გამოსახული ფულადი ერთეულები)

	20X4	20X3
ამონაგები	60,231	57,896
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(25,976)	(22,346)
სხვა შემოსავლები	987	145
მიწოდების დანახარჯები	(2,156)	(2,278)
ადმინისტრაციული ხარჯები	(15,436)	(15,987)
სხვა ხარჯები	(960)	(1,010)
ფინანსური დანახარჯები	(689)	(702)
მოგება დაბეგვრამდე	16,001	15,718
მოგების გადასახადი	(3,600)	(3,930)
წლიური მოგება	12,401	11,788
სხვა სრული შემოსავალი:		
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში:		
გადაფასების ნამეტის ზრდა/(შემცირება), გადასახადის გამოკლებით	340	(180)
მუხლები, რომლებიც შესაძლებელია შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:		
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, გადასახადისა და რეკლასიფიცირებული მუხლების გამოკლებით	(113)	(54)
სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით	227	(234)
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის	12,628	11,554

20X5 წლის ბოლო პერიოდში, J მსს-ს ხელმძღვანელობამ, თავიანთი საწარმოს ანგარიშგების წარდგენის პოლიტიკის დეტალური შეფასების შემდეგ, გადაწყვიტა ხარჯების კლასიფიცირება მოეხდინა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ხელმძღვანელობის მოლოდინით, ხარჯების ანალიზი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით უფრო საიმედო და შესაფერის ინფორმაციას იძლევა—რადგან ფუნქციების მიხედვით ხარჯების განაწილება პირობითად ხდება.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ქვემოთ მოცემულია J მსს-ს შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი 20X5 და 20X4 საანგარიშგებო წლებისთვის (ფულადი ერთეულები გამოსახულია ათასებში):

	20X5	20X4
ამონაგები	62,457	60,231
სხვა შემოსავლები	534	987
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		
გამოყენებული მასალები	(11,568)	(9,987)
ცვლილება მარაგებში (ნედლეულის გარდა)	(1,345)	(3,000)
ხელფასები, სარგო და გასამრჯელოები	(8,890)	(8,234)
ცვეთა	(3,245)	(3,120)
ტრანსპორტირება	(1,010)	(990)
სხვა თანხები	(640)	(645)
მთლიანი თანხა	(26,698)	(25,976)
მიწოდების დანახარჯები:		
სარეკლამო საქმიანობა	(1,310)	(1,156)
ხელფასები, სარგო და გასამრჯელოები	(1,201)	(1,000)
მთლიანი თანხა	(2,511)	(2,156)
ადმინისტრაციული ხარჯები:		
ხელფასები, სარგო და გასამრჯელოები	(12,345)	(12,404)
ცვეთა	(2,220)	(2,388)
სხვა თანხები	(1,008)	(644)
მთლიანი თანხა	(15,573)	(15,436)
სხვა ხარჯები	(1,010)	(960)
ფინანსური დანახარჯები	(601)	(689)
მოგების გადასახადი	(4,199)	(3,600)
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების ნამეტის ზრდა, გადასახადის გამოკლებით	110	340
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, გადასახადის გამოკლებით	(65)	(80)
მოგებაში ან ზარალში გადატანილი ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების თანხა	(7)	(33)

მომზადეთ, J მსს-ს სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X5 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ქმსს წარადგინს ქვემოთ მოცემულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას 20X5 წლისთვის, სადაც ხარჯები სიტუაციური მაგალითი 5- პასუხი ეკონომიკური შინაარსის მიხედვითაა კლასიფიცირებული.

ქმსს—სრული შემოსავლის ანგარიშგება 20X5 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ფულადი ერთეულები გამოსახულია ათასებში)

	20X5	20X4
		<i>გადაანგარიშებული</i>
ამონაგები	62,457	60,231
სხვა შემოსავლები	534	987
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში	(1,345)	(3,000)
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(11,568)	(9,987)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	(22,436) ^(ა)	(21,638)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(5,465) ^(ბ)	(5,508)
ტრანსპორტირება	(1,010)	(990)
სარეკლამო საქმიანობა	(1,310)	(1,156)
სხვა ხარჯები	(2,658) ^(გ)	(2,249)
ფინანსური დანახარჯები	(601) ^(დ)	(689)
მოგება დაბეგრამდე	16,598	16,001
მოგების გადასახადი	(4,199)	(3,600)
წლიური მოგება	12,399	12,401
სხვა სრული შემოსავალი:		
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში:		
გადაფასების ნამეტის ზრდა, გადასახადის გამოკლებით	110	340
მუხლები, რომლებიც შესაძლებელია შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:		
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, გადასახადისა და რეკლასიფიცირებული მუხლების გამოკლებით	(72)	(113)
სხვა სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის, გადასახადის გამოკლებით	38	227
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული საანგარიშგებო წლისთვის	12,437	12,628

ქვემოთ მოცემული გამოთვლები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები არ წარმოადგენს ამ სიტუაციური მაგალითის პასუხის ნაწილს:

მოდული 5—სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

- (ა) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი (20X5) = 8,890 ზე + 1,201 ზე + 12,345 ზე = 22,436 ზე.
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი (20X4) = 8,234 ზე + 1,000 ზე + 12,404 ზე = 21,638 ზე.
- (ბ) ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი (20X5) = 3,245 ზე + 2,220 ზე = 5,465 ზე.
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი (20X4) = 3,120 ზე + 2,388 ზე = 5,508 ზე.
- (გ) სხვა ხარჯები (20X5) = 640 ზე + 1,008 ზე + 1,010 ზე = 2,658 ზე.
სხვა ხარჯები (20X4) = 645 ზე + 644 ზე + 960 ზე = 2,249 ზე.
- (დ) ფინანსური დანახარჯები (20X5) = 601 ზე.
ფინანსური დანახარჯები (20X4) = 689 ზე.